ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 285 (19427) ◆ პარასკევი, 13 დეკემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

პრესის მნიშვნელოვანი ამოცანები

დიდი ჩანაფიქრებისა და გაბედული მოქმედების დრო, სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების დამამთავრებელი ეტაპი სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს პრესას. იგი უნდა იყოს პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების ცვლილებათა, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების განხილვის საყოველთაო-სახალხო ტრიბუნა, თავს უყრიდეს მასების იდეებს, აზრებს, გამოცდილებას, აყალიბებდეს იმ მაღალ შრომითსა და იდეურ-ზნეობრივ განწყობას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ყოველი გეგმის რეალიზაცია. პარტიის საპროგრამო დებულებების გათვალისწინებით ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა როლი ჩვენს საზოგადოებაში. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ილვაწებს, — ნათქვამია პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, — რათა ისინი ღრმად აანალიზებდნენ საშინაო და საერთაშორისო ცხოვრებას, ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებს, აქტიურად უჭერდნენ მხარს ყოველივე ახალს, მოწინავეს, ალძრავდნენ აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც აღელვებს ადამიანებს, და სახავდნენ მათი გადაჭრის გზებს. პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა მოწოდებული არიან დაარწმუნონ ადამიანები პოლიტიკური სიცხადით და მიზანსწრაფვით, თავიანთი გამოსვლების შინაარსის სიღრმით, ოპერატიულობით, ინფორმაციული სისავსით, სიხალისითა და მისაწვდომობით".

ნაყოფიერად, შესამჩნევი შემოქმედებითი უკუგებით მუშაობს ბევრი სარედაქციო კოლექტივი. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა როგორც ცნობილია გაზეთ „ტრუდის" ინიციატივა, რომელმაც თავის ფურცლებზე მოაწყო მუშათა დაუსწრებელი საკავშირო კრება წარმოებაში ეკონომიისა და მომჭირნეობის, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების საკითხებზე. „ტრუდის" სადისკუსიო განყოფილებაში უკვე დაიბეჭდა ათობით მუშის საყურადღებო წინადადებანი, რომელთა განხორციელებას კონტროლი დაუწესდა. ეს გამოცდილება მით უფრო საგულისხმოა, რომ პრესის ყველა ორგანოში როდი უთმობენ თვალსაჩინო ადგილს ავტორთა მხქელობას, რომლებიც შრომობენ ჩარხებთან, მშენებლობაზე, მინდორსა თუ ფერმაში. მაგალითად, მუშათა და კოლმეურნეთა ცოტა მკაფიო, საყურადღებო სტატიასა და კორესპონდენციას ბეჭდავენ ისეთი გაზეთები, როგორიცაა „რაბოჩი პუტი" (ქ. სმოლენსკი), „ვოლგოგრადსკაია პრავდა".

მკითხველთა ყურადღების ცენტრშია გაზეთების განყოფილებანი „სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად". ყურადღებას იპყრობს „ზარია ვოსტოკას" (ქ. თბილისი) „ურალსკი რაბოჩის" (ქ. სვერდლოვსკი), „ინდუსტრიალნოე ზაპოროჟიეს", „სოვეტსკაია ბელორუსიის", მთელი რიგი სხვა გამოცემების თემატური გვერდები და შენარჩევები. ქალაქებისა და სოფლების მშრომელები მათ ფურცლებზე გამოთქვამენ დამატებებს, შენიშვნებს დოკუმენტების პროექტების გამო, იძლევიან რჩევას, როგორ გაუმჯობესდეს საქმე ამა თუ იმ უბანზე. ეს განხილვა საბჭოთა სახალხო ხელისუფლების დემოკრატიული ნორმების რეალიზაციის ეფექტიანი ფორმა ხდება, ზრდის პრესის ავტორიტეტს, მის პროპაგანდისტულ, აგიტაციურ და ორგანიზატორულ როლს.

ამავე დროს არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ პრესის ბევრი ორგანო ჯერ კიდევ გაუბედავად აყენებს მომწიფებულ საკითხებს, ზერელედ ეკიდება ცოცხალი პრაქტიკის ანალიზს. ადგილობრივი პრესის პუბლიკაციებში ზოგჯერ არ იგრძნობა პრობლემების სიახლე,

ПРАВДА

12 დეკემბრის მოწინავე

იმ ამოცანების სიახლე, რომლებსაც შრომითი კოლექტივები წყვეტენ, სჭირდებიან რა ზოგად საუბარს პერსპექტივების შესახებ, გაზეთები ვერ ამჩნევენ რეზერვებს, რომლებიც უნდა ამოქმედდეს უკვე ახლა, არ მიუთითებენ უვარგისობის მისამართებს, ზოგჯერ ერიდებიან იმის დასახელებას, ვისაც ბრალი მიუძღვის შეცდომებსა და ხარვეზებში, შელამაზებული, ზოგადი ფრაზებით წერენ იმათ შესახებ, ვინც დღესაც ცდილობს ძველებურად, გულგრილად იმუშაოს. ყველა რედაქცია როდი ზრუნავს გამოსვლების ქმედითობისათვის, მათი ავტორების მიერ გამოთქმული წინადადებების რეალიზაციისათვის. ზოგიერთ გაზეთში წამყვან თემას მონიშნავენ ხოლმე მხოლოდ სათაურებში, „ქუდებში", თვით მასალებში კი საუბარია რაზეც გნებავთ, მაგრამ არა იმაზე, რაც რეალურად უნდა გაკეთდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, ეკონომიისა და ყაირათიანობის, როგორც ცხოვრებისა და ქცევის ნორმის, დამკვიდრებისათვის.

ცხოვრება ახლა მდიდარია დიდი მნიშვნელობისა და სულ სხვადასხვა ხასიათის ამბებით. საჭიროა საკმაო ხელოვნება, ჟურნალისტური ოსტატობა, რათა ღირსეულად ასახო თითოეული მათგანი, გონივრულად გამოიყენო გაზეთისა და ჟურნალის ფართობი, რადიო და ტელეგადაცემების დრო, გაამრავალფეროვნო გამოსვლათა თემატიკური, ჟანრული პალიტრა. თითოეულ რედაქციაში უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ მზადდებოდეს, ქვეყნდებოდეს და ეთერში გადაიცემოდეს ნამდვილად საინტერესო ანგარიშები პარტიულ ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში გამართულ კრებებზე საყრილობო დოკუმენტების განხილვის მიმდინარეობის შესახებ. მაგრამ ჟურნალისტიკის ეს ჟანრი უკანასკნელ ხანს როგორღაც გაუფერულდა, ზოგიერთ გამოცემაში იგი მოექცა შტამპების, მოხსენებათა გადამღერების მარწუხებში. ამავე დროს მნიშვნელოვანია, უწინარეს ყოვლისა, კრებების მონაწილეთა, კონფერენციების დელეგატთა აზრი, დისკუსიათა ცოცხალი მიმდინარეობის ასახვა, პარადულობის, ხმაურისა და ყალბი ორგანიზებულობის კრიტიკა. როცა ისინი თავს იჩენენ.

როცა განმარტავს პარტიის საპროგრამო მიზნებს, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის არსს, პრესა მოვალეა პოულობდეს ადგილს უპირველეს საქმეთა გამო გამოსვლებისთვისაც, იმის ანალიზისთვისაც, თუ რას იძლევა სოციალისტური შეჯიბრება წლის ფინიშზე, როგორ ხრულდება გეგმები და ვალდებულებანი, როგორ ყალიბდება აგროსამრეწველო გაერთიანებანი, აღმოიფხვრება თუ არა ნაკლოვანებანი და ინერგება თუ არა მეწინავეთა გამოცდილება. მუდმივი თემაა ფერმებში გამოზამთრების მიმდინარეობის, გაზაფხულისათვის მზადების გაშუქება.

მოიცავს პრობლემების არე, მათგან გამოყო მთავარი, ნახევარი საქმეა. დღეს ჟურნალისტიკაში ისევე, როგორც საქმიანობის სხვა სფეროებშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შესრულების ხარისხს. მკითხველი და მაყურებელი ელის ნამდვილ პუბლიცისტიკას. ეს უნდა იყოს არა მაღალფარდოვანი სიტყვები, ქათინაურებისა თუ ბრალდებების ნიაღვარი, არამედ ამა თუ იმ თემის გადაწყვეტის მეზნებარება, სიღრმე და დასაბუთება, ანალიზურობა, დამაჯერებლობა, ფაქტების უტყუარობა. საბჭოთა ადამიანი ვერ ეგუება გაუბრალოებულ პასუხს კითხვებზე, მას უნდა ველაპარაკებოდეთ სიმართლის ენით.

პარტია დიდად აფასებს ჟურნალისტთა შრომას, რომელიც მოითხოვს ღრმა ცოდნას, შემოქმედებით შემართებას, პრინციპულობას, ზოგჯერ კი გაბედულებასაც. იგი კვლავაც, როგორც ეს ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, გაუწევს პრესას, ინფორმაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალებას აქტიურ მხარდაჭერასა და დახმარებას. ეჭვი არ არის, რომ ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა იქნებიან იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომლებსაც პარტია უსახავს მათ.

პარტიული აქტივისტის დასახმარებლად

გამოვიდა წიგნი „კონტროლის უფლება და მისი რეალიზაცია". იგი ასახავს იმ მუშაობის ორგანიზაციულ-მეთოდიკურ გამოცდილებას, რომელსაც პარტიის XXVI ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მოთხოვნების შესაბამისად ეწევიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების კომისიები ადმინისტრაციის საქმიანობისა და აპარატის მუშაობისადმი კონტროლისათვის. წიგნში განზოგადებულია მატერიალური წარმოების მრავალი დარგის, მართვის სფეროსა და არასაწარმოო სფეროს პარტორგანიზაციათა კომისიების გამოცდილება.

წიგნი, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა, განკუთვნილია პარტიული აქტივის ფართო წრისათვის.

(საქტასი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლების, ხარისხის გაუმჯობესების გამო ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს აპარატის კომუნისტთა პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის ამ სამინისტროს პარტიული კომიტეტის მუშაობის შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს პარტიული კომიტეტი, ხელმძღვანელობს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებით, გარკვეულ მუშაობას ეწევა პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის სამინისტროს აპარატის კომუნისტთა პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად. გაიზარდა მომთხოვნელობა პარტიისა და მთავრობის დირექტივების რეალიზაციისათვის, მართვის ყველა რგოლში ორგანიზებულობის, წესრიგისა და დისციპლინის უზრუნველყოფისათვის.

მაგრამ პარტიულ კომიტეტს ძირეულად არ გაუუმჯობესებია მუშაობა აპარატის კომუნისტთა დასარაზმად პარტიის მიერ დასახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანათა შესრულებისათვის. ამ საკითხებს სათანადო ადგილი არ დაუკავებიათ პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. სამინისტროს ხელმძღვანელებს არ გარდაუქმნიათ თავიანთი მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა სულისკვეთებით, თვითკრიტიკულად არ აფასებენ მიღწეულ შედეგებს, რაც წარმოშობს თვითდამშვიდებას, უარყოფით გავლენას ახდენს დარგში საქმიან ვითარებაზე.

პარტკომმა ვერ უზრუნველყო მუდმივი კონტროლი მეურნეობრიობის ახალ პირობებში აპარატის მუშაობისადმი, დარგში ეკონომიკური ექსპერიმენტის მიმდინარეობისადმი, მის შესაძლებლობათა ფართო გამოყენებისადმი. ყოვნდება დიდად ავტომატიზებული ჩარხებისა და მანქანების წარმოებაზე, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვაზე გადასვლა. სერიოზული პრეტენზიებია პროდუქციის ხარისხისადმი: გაიზარდა წუნით გამოწვეული დანაკარგები, საგარანტიო რემონტის დანახარჯები, გადიდდა საწარმოთა რიცხვი, რომლებსაც სსრ კავშირის სახსტანდარტის ორგანოები საჯარიმო სანქციებს უყენებდნენ.

არ აღკვეთილა და ჯეროვანი პარტიული შეფასება არ ეძლევა ახალი ტექნიკის გეგმების კორექტირებისა და შეუსრულებლობის ფაქტებს. სამინისტროს თხოვნით მიმდინარე ხუთწლედში სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა არაერთგზის გადასწია პროგრესული მოწყობილობის შექმნის ვადები.

პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა მასების შემოქმედების, შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის სამინისტროს ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერებას. იგი სუსტად არის ორიენტირებული პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლებაზე, წარმოების ინტენსიფიკაციაზე, შრომითი და მატერიალური რესურსების ეკონომიაზე.

სამინისტროს პარტიულმა კომიტეტმა და კოლეგიამ ვერ მიაღწიეს იმას, რომ არსებითად გაუმჯობესებულიყო აპარატის მუშაობის სტილი. კოლექტივში არ შექმნილა ურთიერთმომთხოვნელობისა და მთქითხველობის, საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარება, აღმოფხვრილი არ არის ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული, კაბინეტური მეთოდები. აპარატის ბევრი მუშაკი საფუძვლიანად არ იცნობს საქმის ვითარებას ადგილებზე. სამინისტროს ხელმძღვანელები ნაკლებად გამოდიან შრომით კოლექტივებში. არის პრესის გამოსვლებისადმი, ადგილობრივი ორგანოების მიმართვების, მშრომელთა განცხადებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების შემთხვევები.

შესუსტებულია პარტიული კომიტეტის გავლენა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობაზე, იგი არ იჩენს სიმტკიცეს მაღალკვალიფიციური და ინიციატივიანი ხელმძღვანელებით წამყვანი ქვეგანაყოფების გაძლიერებაში. გაუბედა-

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მხარდაჭერა სიტყვით და საქმით

საბჭოთა ხალხისათვის ადამიანისა და ქვეყნად მშვიდობის საკეთილდღეო მოქმედების ნათელი და დასასაბუთებელი პერსპექტივა გახდა პარტიული დოკუმენტები, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობის წინ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის არის გამოტანილი. საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში. სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, სკკპ წესდების შემოთავაზებული ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების განხილვა უდიდესი შრომითი აღმავლობის, ენთუზიაზმის ვითარებაში და საქმიანი სულისკვეთებით მიმდინარეობს, აღმშენებლობით-შემოქმედებითი ხასიათი აქვს. მეცნიერები, შემოქმედი ინტელიგენცია, ყველა მშრომელი ერთსულოვნად აფასებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღრმა თეორიულ განზოგადებებს, სტრატეგიულ კურსს, რომლის მიზანია დააჩქაროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე.

ეს ითქვა შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაუმართეს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს.

შეხვედრა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ე. ქ. ხარაძემ, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დ. ი. ჩხიკვიშვილმა, რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ო. დ. ქინქლაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა დ. გ. სტურუამ, აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ნ. ვ. ბუშინამ, ბათუმის ნ. ა. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა დ. ა. ხახუტაიშვილმა, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ბ. ბ. ტეხოვმა, სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ქ. ნ. ჩარკვიანმა, კ. ს. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა ე. პ. მეტრეველმა, საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა ე. ნ. გუგუშვილმა, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ზ. ჭავჭავაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგემ ლ. ვ. გორგილაძემ, სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორმა ს. ნ. ხეჩინაშვილმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი აღმავლობითა და აღფრთოვანებით აღიქვეს შემოქმედებითი, ნოვატორული სულისკვეთება, რომლითაც არის გამსჭვალული პარტიის საქმიანობა. იზრდება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მტკიცდება დისციპლინა, გაძლიერდა ბრძოლა ბიუროკრატიზმის, ინერტულობის, კონსერვატიზმის წინააღმდეგ.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და სკკპ წესდების ცვლილებათა პროექტები, პარტიის კურსი, რომლის მიზანია დააჩქაროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, განაგრძოს აქტიური ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის. მათ განაცხადეს, რომ ისწრაფვიან ილვაწონ მინდობილ უბნებზე იმ კონკრეტული ამოცანების უცილობელი განხორციელების უზრუნველსაყოფად, რომლებიც მეთორმეტე ხუთწლედისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის არის დასახული.

შეხვედრაზე გამოვიდა ამხანაგი ჯ. ი. პატიაშვილი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანჩაბაძე, გ. ნ. ენუქიძე და ნ. ა. ჩითანავა.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. გურამ დავითის ძე მგელაძე საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. **1985** წლის **12** დეკემბერი.

გურამ დავითის ძე მგელაძე დაბადებულია 1932 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1960 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ამხ. გ. დ. მგელაძემ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1962 წელს საქართველოს კომპარტიის სამგორის რაიკომის ინსტრუქტორად.

1968-1969 წლებში ამხ. გ. დ. მგელაძე გარდაბნის რაიონის, შემდეგ კი მცხეთის რაიონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეა. 1969-1971 წლებში იყო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მოსკოვის პარტიული სკოლის მსმენელი, 1971 წელს ამხ. მგელაძე გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორად, სადაც 1973 წლამდე იმუშავა.

1973 წელს ამხ. გ. დ. მგელაძეს ირჩევენ საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1982 წელს ინიშნება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად. 1983 წლიდან დღემდე იგი არის საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ამხ. გ. დ. მგელაძე არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მას მინიჭებული აქვს სოციალისტური შ/ომის გმირის წოდება, დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. რ. ჰ. კონცელიძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. რესან ჰასანის ძე კონცელიძე საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. **1985** წლის **12** დეკემბერი.

რესან ჰასანის ძე კონცელიძე დაბადებულია 1938 წელს(ქართველია, სკკპ წევრია 1961 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება —დაამთავრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა ამხ. რ. ჰ. კონცელიძემ დაიწყო 1959 წლიდან. როცა აირჩიეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ. 1961-1963 წლებში იგი იყო საქართველოს ალკკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1963-1966 წლებში — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, პასუხისმგებელი ორგანიზატორი.

1966 წელს ამხ. რ. ჰ. კონცელიძეს ირჩევენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, ერთი წლის შემდეგ კი მეორე მდივნად.

1969-1973 წლებში იგი თბილისის ოქტომბრის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. 1973 წელს მას ირჩევენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველ მდივნად.

1973 წელს ამხ. რ. ჰ. კონცელიძე ინიშნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ.

1974 წლიდან დღემდე ამხ. რ. ჰ. კონცელიძე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრია.

ამხ. რ. ჰ. კონცელიძე არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით.

ინიციატორთა დევიზით: მომავალი წლის ორი თვის დავალება — სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის!

სიმძლავრე გაორკეცდება

თბილისი. „ანალიზხ ე ლ ს ა. წყოს" საწარმოო გაერთიანების კოლექტივი კარგი სამეურნეო შედეგებით ამთავრებს მეთერთმეტე ხუთწლედს. გაერთიანების ხელმძღვანელობა, პარტიული კომიტეტი ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რომ ქვეყნისა და საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმებს დამაჯერებელი შრომითი ნობათები უძღვნან. როგორც გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. უშანგიშვილმა გვითხრა, აქ დღითი დღე მტკიცდება წარმოების სპეციალისტებისა და მეცნიერების კავშირი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით მეთორმეტე ხუთწლედში დაიწყება ჯვარის საცდელი ქარხნის, თბილისში კი საინჟინრო-ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობა. ამით თბილისის საცდელი ქარხნის სიმძლავრე ორჯერ გაიზრდება.

თბილისის საცდელი ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის ათ თვეში, გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 57 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდა, ხოლო რეალიზებულია 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. კარგი შედეგებია მოპოვებული საექსპორტო გეგმის შესრულების მხრივაც. ამ მაჩვენებლის შესრულებამ წლის განვლილ პერიოდში 105,3 პროცენტი შეადგინა.

(„კომუნისტის" კორ.).

წარმატების წანამძღვრები

ჭიათურა. (საკ. კორ.). საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა 300 ტონით გადააჭარბა პროდუქციის გამოშვების მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმას.

მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებში დანერგილია შეკუმშულ ჰაერზე მომუშავე მტვირთავი მანქანები. ამ მანქანებით წლეულს 115 ათასი ტონა მანგანუმის მადანი დატვირთა. ეს კი ძთელ მიწისქვეშა უბნებიდან გამოლებული მადნის 70 პროცენტს შეადგენს. მადნის მექანიზებულად დატვირთვის მოცულობის ზრდით 5 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, საგრძნობლად შემცირდა დანახარჯები. მამდიდრებელ ფაბრიკაში ამოქმედდა ელექტრომაგნიტური სეპარატორები, უბებიანი ზამსხვრეველა, გაუმჯობესდა მანგანუმის მადნის რეცხვის ტექნოლოგიური პროცესი და სხვა.

მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მაღაროთ სამმართველოს კოლექტივი შვიდჯერ გამოვიდა გამარჯვებული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა ახალი ვალდებულებები იკისრა: მანგანუმის პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის გეგმას იგი 27 დეკემბრის ნაცვლად შეასრულებს 25 დეკემბერს, შრომის ნაყოფიერებას გაზრდის 1,2 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულებას შეამცირებს 0,6 პროცენტით. მეთერთმეტე ხუთწლედის დავალების გადამეტებით დაამზადებს 24 ათას ტონა მაღალი ხარისხის კონცენტრატს, შექმნის წანამძღვრებს მომავალი წლის წარმატებით დაწყებისათვის, სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის კოლექტივი 1986 წლის ორი თვის გეგმას შეასრულებს.

შრომითს ვახტზე

წალენჯიხის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ყრილობისწინა შრომითს ვახტზე დგანან, ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს რძის წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმა. გათვალისწინებული 9.796 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 9.917 ტონა რძე. წლის ბოლომდე მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში სახელმწიფოს დამატებით მიეყიდება 100 ტონა რძე.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

მოწინავეთა მხარდამხარ

ბრიგადა, რომელსაც აბრამ გიუნაშვილი ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი მოწინავეა საგარეჯოს რაიონის პატარძეულის სამეურნეობათაშორისო მეცხვარეობის მეურნეობაში. ბრიგადის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მექანიზატორ გოგონათა რგოლის წევრებმა — დებმა თამარ და ლალი მეხაშიშვილებმა, ანეტა ცხვარიაშვილმა, მარინე ალადაშვილმა. ტრაქტორისტმა გოგონებმა მეურნეობის ყველა სამუშაო დროულად და აგროვადებში დაამთავრეს, ერთწლოვანი კულტურების და ყურძნის მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აიღეს, ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმა-დავალება ჯერ კიდევ პირველი ნოემბრისათვის შეასრულეს. მექანიზატორ ქალთა შორის თავი ისახელა თამარ მეხაშიშვილმა, რომელმაც წლევანდელი და ხუთწლიანი გეგმები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა.

სურათზე: მექანიზატორ გოგონათა რგოლის წევრი თამარ მეხაშიშვილი.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

— ამხ. **რ. ჰ. კონცელიძე** საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ;

— ამხ. **გ. დ. მგელაძე** საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ;

— ამხ. **ლ. ი. გაგუა** საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ;

— ამხ. **ჯ. რ. კუხალაშვილი** საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილედ.

• • •

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

— ამხ. **მ. კ. კობახიძე** საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

— ამხ. **ი. ა. ითრდანიშვილი** საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

დროის მხარდამხარ

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენის — სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადებით არის გაცისკროვნებული საბჭოთა ხალხის მთელი საქმიანობა. მას ახმარენ მთელ ნიჭსა და შთაგონებას მხატვრული სიტყვის ოსტატები, რომლებიც ქმნიან ჩვენი დროის შესაფერ ნაწარმოებებს.

დიდი მომთხოვნელობის პოზიციებიდან უდგებიან თავიანთი შრომის შეფასებას, საქმიანად და საფუძვლიანად სახავენ ლიტერატურის განვითარების შემდგომ გზებს რუსეთის ფედერაციის მწერალთა VI ყრილობის დელეგატები. ყრილობა გაიხსნა 11 დეკემბერს მოსკოვის კრემლის დიდ სასახლეში.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დელეგატები და სტუმრები ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ბ. ნ. ელცინს, ლ. ნ. ზაიკოვს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. ვ. კაპიტონოვს.

ყრილობის დელეგატთა შორის არიან მოძმე ლიტერატურების წარმოგზავნილები, მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, ხელოვნების მოღვაწენი, მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, შეიარაღებული ძალების მეომრები.

მოხსენება „პარტიის ამოცანები ლიტერატურის ამოცანებია" გააკეთა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ვ. მიხალკოვმა. მან დაწვრილებით დაახასიათა „ლიტერატურული ხუთწლედის" მიღწევები პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, პუბლიცისტიკის, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის დარგში, კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, მთარგმნელობითს საქმიანობაში.

პარტია საბჭოთა ლიტერატურისაგან და, კერძოდ, რუსეთის ლიტერატორებისაგან ელის, რომ გაამდიდრებენ სოციალისტური საზოგადოების კულტურას ახალი ღირებულებებით, მართლად ასახავენ საბჭოთა ადამიანის იდეურ და სულიერ სამყაროს, ყველა ადამიანის აქტიურობის ზრდას, თქვა მომხსენებელმა.

ჩვენი მწერლების ფორუმი მიმდინარეობს საყრილობო დოკუმენტების საყოველთაო-სახალხო განხილვის პერიოდში, და ეს რუსეთის მწერლებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ორატორმა. მან გამოთქვა რწმენა, რომ სიტყვის ოსტატები პარტიის ერთგული თანაშემწენი, შეგნებული აქვთ რა უდიდესი როლი, რომელიც უნდა შეასრულოს ლიტერატურამ საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახლანდელ, უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაამართლონ ხალხის ნდობა, ლენინის პარტიის ნდობა.

შემდეგ დაიწყო კამათი.

• • •

12 დეკემბერს რუსეთის სფსრ მწერალთა VI ყრილობა მუშაობას განაგრძობდა მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

რუსეთის სფსრ მწერალთა ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საქტასის კორ.)

სიტყვის ერთგულნი

ვალდებულებებს — კონტროლი

ჩვენი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე უკვე ახალი ვლ-11 ლოკომოტივი მუშაობს, რომლებიც თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელ ქარხანაშია დამზადებული. წელს ქართველმა ელმავალმშენებლებმა ვალდებულება აიღეს გამოუშვან კიდევ ათი ამ მარკის მანქანა. ურალში კი უკვე გამოცდა გაიარა ახალმა ელმავალმა ვლ-15-001.

— იგი მსოფლიოში ყველაზე „ლონიერი" მაგისტრალური ლოკომოტივი იქნება, რომელიც მუდმივ დენზე იმუშავებს, — გვეუბნება „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორი ზ. ჩიჟავაძე. — მისი სიმძლავრე თითქმის მესამედით აღემატება წინამორბედებისას: მას შეუძლია რვა ათას ტონამდე გრძელშემადგენლობიანი მატარებლის წაყვანა. არც ის არის ნაკლებად მნიშვნელოვანი, რომ იგი კომპლექტურია და ამიტომ სალოკომოტივო დეპოების გადაკეთებას არ საჭიროებს.

ახალი ლოკომოტივი, რომელმაც დაამთავრა ურალის გზებზე 5.000-კილომეტრიანი საცდელი გარბენი, უკვე ჩაიდგა მორიგი გამოცდისათვის მოსკოვის ოლქის შჩერბინკის სადგურის პოლიგონზე. ელმავალმშენებლობის სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტები კი გ. ცხადაძის მეთაურობით ჯერჯერობით სწავლობენ გამოცდის წინასწარ მონაცემებს, კორექტივებს შეაქვთ ამ გოლიათი ელმავლის კონსტრუქციაში.

შესაქები ამ ელმავალს და პატივსაცემი ისტორიული მისი შემქმნელებისადმი: მათ ელმავალმშენებლობის ბევრი უახლესი მიღწევა გამოიყენებიათ. ამისთვის მოუწოდებს სამქროში გაკრული ტრანსპარანტიც „ჩვენი ელმავალი მსოფლიო სტანდარტების დონეზე უნდა იყოს!".

— დარწმუნებული ვართ, რომ ასეც იქნება, — გვეუბნება წარმოების ერთ-ერთი ვეტერანი, ელექტრომონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გ. მეტონიძე. — ახალი ლოკომოტივი ჩვენი კოლექტივის კარგი საჩუქარი იქნება სკკპ XXVII ყრილობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ანჩაბაძის კომენტარი:

— უწინარეს ყოვლისა, მინდა შეგახსენოთ, რომ ვლ-15 ელმავლების საცდელი პარტიის გამოშვება გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მშრომელთა 1985 წლის სოციალისტური ვალდებულებებით, რომლებიც „პრავდაში" გამოქვეყნდა. და, როგორც ხედავთ, ელმავალმშენებლები სიტყვის ერთგულნი არიან. ამ წარმატებებს მათ მიაღწიეს რეკონსტრუქციის პირობებში, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ქარხანაში. საერთოდ, ეს კოლექტივი გამოირჩევა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, ინიციატივით, ურთულესი ამოცანების გადაწყვეტის უნარით. მაგალითად, შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მისი განზრახვა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა დიდი ოქტომბრის 68 წლისთავისათვის შეესრულებინათ. ჰოდა, ელმავალმშენებლებმა სიტყვა არ გატეხეს, ვადამდე გაართვეს თავი ხუთწლედის ვალდებულებებს.

ინიციატივას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის ბევრმა შრომითმა კოლექტივმა, უწინარესად — მანქანათმშენებლებმა. აი რამდენიმე ციფრი. მიმდინარე წლის ათი თვის მანძილზე სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმა მთლიანად დარგში 101,3 პროცენტით შესრულდა. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მანქანათმშენებლებს ერთ-ერთი საუკეთესო აქვთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში — 10,8 პროცენტი; გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 13,3 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. საგრძნობლად გაუმჯობესდა მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება.

როგორც გათვალისწინებული იყო ვალდებულებებით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის და პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისათვის მუშაობა ორი ძირითადი მიმართულებით წარმოებს. ერთი მხრივ, ითვისებენ ახალ პროგრესულ სახეობათა ნაკეთობებს, თანამედროვეთი ცვლიან მოძველებულ პროდუქციას. მეორე მხრივ, ინერგება დიდმწარმოებლური ავტომატიზებული მოწყობილობა და დიდდება ეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესები.

ცხადია, ეს იოლი პროცესი არ არის: იგი დაკავშირებულია ადამიანთა ეკონომიკური აზროვნების გარდაქმნასთან; და ამ მხრივ, ისევე როგორც სხვა საქმეებში, მათ ეხმარებიან კომუნისტები და წარმოების მოწინავენი, ისეთები, როგორიც არიან, მაგალითად, თბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის ბრიგადირები გ. კურტანიძე და ნ. თიგიშვილი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" შიგმჩარხავი ხარატი ა. ქუდრენკო.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც კონტროლს უწევს ვალდებულებათა შესრულებას, ბევრ რამეს აკეთებს იმისათვის, რომ ამაღლოს წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონე, რომ აქ დაბანდებული ყოველი მანეთი მაქსიმალურ უკუგებას იძლეოდეს.

მთლიანად მანქანათმშენებლობის დარგებში კომპლექსურად მექანიზებულია 15 უბანი, საამქრო და წარმოება, დანერგილია 36 ნაკადური და ავტომატიზებული ხაზი, 66 რობოტი და მანიპულატორი, 32 რიცხობრივი პროგრამული მართვის ჩარხი. ათვისებულია 63 ახალი სახეობის პროდუქცია.

მაგრამ ვალდებულებათა რეალიზაცია არც ისე იოლად მიმდინარეობს, როგორც სასურველი იქნებოდა. რესპუბლიკაში ცოტა არ არის ისეთი საწარმო, რომლებიც ჩამორჩებიან ტექნიკური აღჭურვილობით. მათ შორისაა ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებელთა ქარხანა, გაერთიანება „კავკასტრანსფორმატორი" და წნორის მექანიკური ქარხანა.

ამიტომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მიაღწიოს იმას, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილი შრომითი კოლექტივები, რომ ყველა ართმევდეს თავს წლისა და ხუთწლედის საგეგმო პროგრამას.

გ. ლებანიძე,
„პრავდის" კორ.

„პრავდა". 1985 წ. 8. XII.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია

გაიმართა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამხ. ზ. ლ. ვლაქანიშვილი დაინიშნა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ, სესიამ გაათავისუფლა იგი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ამხ. ზ. ა. კახნიაშვილი, რომელიც თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

სესიაზე გამოვიდა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. შ. მესხიშვილი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია.

(საქინფორმი).

თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია

გაიმართა თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამხ. ზ. ა. კახნიაშვილი არჩეულია თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, სესიამ გაათავისუფლა იგი თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულია ამხ. ე. ე. ტურძელაძე, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა.

სესიაზე გამოვიდა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. შ. მესხიშვილი.

(საქინფორმი).

დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი ამხ. გურამ მიხეილის ძე პაპიტაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

(დასასრული)

ვად ხორციელდება ახალგაზრდა და პერსპექტიულ სპეციალისტთა დაწინაურების გზა; ხშირად ხელმძღვანელი კადრების შერჩევაში დაუფიქრებლობა, ზოგჯერ კი აჩქარებას ის მოსდევს, რომ თანამდებობაზე ინიშნებიან ნაკლებად კომპეტენტური ადამიანები, რომლებსაც არ შესწევთ საქმის ორგანიზაციის უნარი, რის გამოც ხშირად იცვლებიან ხელმძღვანელები. სისტემატურად არ მუშაობენ კადრების რეალური რეზერვის შექმნისათვის, სათანადოდ ვერ მოუვლიან სპეციალისტთა და მუშათა მომზადება და გადამზადება ახალი თაობის მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვებისა და ფართო დანერგვაზე გადასვლასთან დაკავშირებით. პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელში სწავლება მოწყვეტილია დარგის განვითარების საჭირბოროტო პრობლემებს.

შემდგომ სრულყოფას მოითხოვს შიდაპარტიული მუშაობა. პარტკომში, პარტიულ ორგანიზაციებში არ არის პერსპექტიული დაგეგმვა, კომუნისტ-ხელმძღვანელთა ანგარიშების განხილვა მიმდინარეობს ფორმალურად და საჭირო აღმზრდელობით ზეგავლენას ვერ ახდენს. დანერგილი არ არის პარტკომის სხდომებზე მინისტრის მოადგილეთა ინფორმაციების მოსმენა, არ იყენებენ ისეთ ქმედით ფორმას, როგორიცაა ინდივიდუალური გასაუბრებანი. აქ კვლავ არის პრაქტიკაში შემთხვევები, როცა კომუნისტებს პარტიულ სასჯელს ადებს უშუალოდ პარტკომი, საამქრო პარტორგანიზაციების გვერდის ავლით, სასჯელსაც ხსნის მათი მონაწილეობის გარეშე. სამინისტროს ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ჯეროვნად არ აფასებს მართვის აპარატის პარტიულ ორგანიზაციათა როლს, არ იჩენს აქტიურობას მათ მუშაობაში, იშვიათად ესწრება კრებებს საამქრო პარტორგანიზაციებში, პარტკომისა და პარტბიუროების სხდომებს, მათ განსახილველად არ შეაქვს დარგის განვითარების აქტუალური საკითხები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

პარტიული ორგანიზაცია სუსტად იყენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებით მინიჭებულ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად აპარატის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას. ამ მიზნით შექმნილი კომისიები არ იჩენენ ინიციატივასა და სიმტკიცეს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. იმის მიუხედავად, რომ სერიოზული ხარვეზებია სამინისტროს, მისი ცალკეული ხელმძღვანელების მუშაობაში, პარტკომს ეს არც ერთხელ არ შეუტყობინებია სკკპ ცენტრალური კომიტეტისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს პარტიული კომიტეტის ყურადღება მიაპყრო სერიოზულ ნაკლოვანებებს პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის სამინისტროს აპარატის კომუნისტთა პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად ორგანიზატორულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში. სამინისტროს პარტიულ კომიტეტს და კოლეგიას დაევალათ განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა, მეთორმეტე ხუთწლედსა და 2000 წლამდე პერიოდში მანქანათმშენებლობის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის მითითებათა უთუო შესრულებას. საკოლეგიო დოკუმენტების განხილვის დროს მოითხოვონ იმ ამოცანების ღრმა და ყოველმხრივი განხილვა, რომლებიც დარგის წინაშე დგას წარმოების ინტენსიფიკაციის, პროდუქციის ტექნიკური დონის კონკურენტუნარიანობის გადიდებისა და ხარისხის ამაღლების საქმეში. ამ ამოცანათა გადაწყვეტას მოახმარონ სოციალისტური შეჯიბრების დამრაზმველი ძალა, მიაღწიონ ქვეყნის მოწინავე კოლექტივების გამოცდილების ფართო გამოყენებას.

სამინისტროს პარტიულ კომიტეტს და ხელმძღვანელობას წინადადება მიეცათ აპარატის კომუნისტთა და მუშაკთა მთელი მეცადინეობა მოახმარონ ახალი ტექნიკის შექმნისა და ჩარხმშენებლობის განვითარებაში მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას და მაორგანიზებელი როლის გადიდებას, უფრო აქტიურად ჩააბან მათ ფორმირებაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლების, პროდუქციის მომხმარებელი სამინისტროების სამეცნიერო ძალები. ყოველნაირად განამტკიცონ წარმოებასთან მეცნიერების შემოქმედებითი თანამეგობრობა მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების, მოქნილი საწარმოო სისტემების, იმ ახალ თაობათა ჩარხებისა და მანქანების შექმნისა და დანერგვის მიზნით, რომლებიც მრავალგზის ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. უფრო ფართოდ გამოიყენონ სოციალისტურ ქვეყნებთან ინტეგრაციული ურთიერთობის შესაძლებლობანი პროგრესული საჩარხო მოწყობილობის ერთობლივ შემუშავებასა და წარმოებაში მასზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

დარგის მართვის სრულყოფისათვის მუშაობაში, აღნიშნულია დადგენილებაში, უფრო მტკიცედ უნდა ვიაროთ ზედმეტი რგოლების გაუქმებისა და პერსონალის რიცხვის შემცირების, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა გამსხვილების, კონკრეტულ მომხმარებელთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით პროგრესული ტექნიკის გამოშვებაზე საწარმოთა ხელახალი ორიენტაციის, ნაკლებეფექტიანი მოწყობილობის წარმოების შემცირების გზით. დარგის განვითარების ყველაზე დიდი და აქტუალური პრობლემების განხილვის დროს დაინერგოს მათი კოლექტიური განხილვა პარტიული აქტივისა და წამყვან სპეციალისტთა მონაწილეობით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სამინისტროს კოლეგიას, პარტკომს, პარტიულ ორგანიზაციებს, გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს მოსთხოვა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა დაჩქარდეს თვით ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის ტექნიკური განახლება, დაინერგოს თანამედროვე ლითონდამამუშავებელი მოწყობილობა საკუთარ წარმოებაში, გადიდდეს დარგში შექმნილი სამეცნიერო და საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა, მკვეთრად გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მომხმარებლებისათვის არაკომპლექტური, უხარისხო მოწყობილობისა და ინსტრუმენტის მიწოდების, კაპიტალურ დაბანდებათა უყაირათო გამოყენების თითოეული ფაქტი უნდა გახდეს პრინციპული პარტიული განხილვის საგანი, ამასთან ბრალეულ თანამდებობის პირებს დაეკისროთ მკაცრი პასუხისმგებლობა.

პარტიულ კომიტეტს წინადადება მიეცა განახორციელოს ღონისძიებანი ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის. გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა სტრუქტურული ქვედანაყოფების პარტიული ორგანიზაციებისადმი, ყოველნაირად განავითაროს კრიტიკა და თვითკრიტიკა, განსაკუთრებით კრიტიკა ქვემოდან, არ დაუშვას პარადულობა, საქმის ვითარების შელამაზება, უფრო ფართოდ დანერგოს პრაქტიკაში ინდივიდუალური გასაუბრებანი, კომუნისტთა ანგარიშში მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა და საწესდებო მოთხოვნათა შესრულების შესახებ. უფრო სრულად გამოიყენონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის აპარატის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება. უზრუნველყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება. აპარატის კომუნისტებსა და მუშაკებს ჩაუნერგონ მაღალი კომუნისტური მრწამსი, უზრუნველყონ მათი პოლიტიკური სიმწიფე, ზნეობრივი სიწმინდე, აქტიურად ჩააბან ამ მუშაობაში პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. მოამზადონ და განავითარონ გაერთიანებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მომიჯნავე დარგების სამინისტროების პარტიულ ორგანიზაციებთან პარტკომის საქმიანი კავშირურთიერთობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სამინისტროს პარტკომს, კოლეგიას დაავალა გაზარდონ მოთხოვნილობა სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებისადმი პარტიის საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის. მკაცრად მოკითხონ მუშაკებს, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობებს, არაკრიტიკულად აფასებენ საქმის ვითარებას მინდობილ უბნებზე, ამასთან გაათავისუფლონ კიდეც ისინი თანამდებობიდან.

სამინისტროს კომუნისტი ხელმძღვანელები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში უფრო მეტად უნდა ეყრდნობოდნენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, უფრო სრულად იყენებდნენ მათი გავლენის ძალას, რათა აპარატის მუშაკებს ჩამოუყალიბონ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი თანამედროვე მიდგომა, ჩაუნერგონ იმის მოთხოვნილება, რომ იმუშაონ ახლებურად, ძალ-ღონის სრული დაძაბვით, გაილაშქრონ ინერციისა და მოძველებულის წინააღმდეგ. აჩვენებდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, ეკონომიკური ცოდნის დაუფლების, პარტიულ-პოლიტიკურ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში პირადი მონაწილეობის მაგალითს, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს პარტიული კომიტეტების როლისა და ავტორიტეტის გადიდებას.

მოსკოვის ... წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამინისტროთა და უწყებათა პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერება, მათი როლის გადიდება სამმართველო აპარატის საქმიანობის სრულყოფაში, ღონივრად უწევდნენ მათ საჭირო დახმარებას. მეტი ყურადღება დაუთმონ პარტიული კომიტეტების მდივანთა კადრებს, რათა ამ თანამდებობებზე ირჩევდნენ პოლიტიკურად მომწიფულ, ენერგიულ, მტკიცე მრწამსისა და კარგი ორგანიზატორული მონაცემების მქონე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც აქვთ არჩევითი პარტიული ორგანოების მუშაობის გამოცდილება.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული გაფართოვდეს სამინისტროების ხელმძღვანელ მუშაკთა გადამზადება ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის აკადემიაში, გაუმჯობესდეს ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების დარგობრივი ინსტიტუტების მუშაობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს პარტიულ კომიტეტს დაავალა კრიტიკულად გააანალიზოს თავისი საქმიანობა ამ დადგენილების მიხედვით და აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი. სამინისტროების, გაერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვა ყოველნაირად განავითარონ და წარმართონ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და აქტიურობა სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისა და მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებული შესრულებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება „მრეწველობის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების უბნებისა და საამქროების ოსტატების, უფროსების როლის შემდგომი გადიდებისა და მათი შრომის სტიმულირების გაძლიერების შესახებ". დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი შემუშავებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული 1985 წლის ივნისის თათბირის მითითებების შესაბამისად და მიზნად ისახავს ოსტატების, საამქრო პერსონალის სხვა ხელმძღვანელი მუშაკების როლისა და ავტორიტეტის ზრდას იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე ეკონომიკის გადაყვანის პირობებში წარმოების ინტენსიფიკაციასთან და მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულების უზრუნველყოფასთან.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანათა გადაწყვეტაში მნიშვნელოვნად იზრდება უბნებისა და საამქროების ოსტატების, უფროსების, როგორც შრომითი კოლექტივების უშუალო ხელმძღვანელების, მუშაობის ორგანიზატორებისა და აღმზრდელების როლი და პასუხისმგებლობა.

1977 წელს მიღებულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებამ ამ საკითხზე ხელი შეუწყო ოსტატთა საქმიანობის გააქტიურებას, მათი მომზადების გაუმჯობესებას, კვალიფიკაციისა და საგანმანათლებლო დონის ამაღლებას. მუშაობის დადებითი გამოცდილება აქვთ შექმნილი „ურალმანქანის" და „ნოვოკრამატორსკის მანქანათსაშენებელი ქარხნის" საწარმოო გაერთიანებებში, ბალაშიხის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კრიოგენმანქანასა" და სხვა მოწინავე კოლექტივებში.

ამავე დროს, როგორც აღნიშნულია დადგენილებაში, სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ვერ შეუქმნიათ საჭირო პირობები უბნებისა და საამქროების ოსტატების, უფროსების ნაყოფიერი შრომისათვის, არ ახორციელებენ ღონისძიებებს მათი პრესტიჟის გადიდებისათვის, საწარმოში საწარმოო, ტექნიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში მათი ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის.

უბნებისა და საამქროების ბევრ ოსტატს, უფროსს არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა განვითარების ინტენსიურ გზაზე და მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე წარმოების გადაყვანის პირობებში. საწარმოო და აღმზრდელობით მუშაობაში ისინი საკმარისად არ ხელმძღვანელობენ შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებებით. მათ აზრს სუსტად ითვალისწინებენ კადრების შერჩევის, განაწილების, შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების დროს. ხშირად ამ რგოლის ხელმძღვანელები ასრულებენ მათთვის შეუფერებელ საქმეთა ძირითადი საქმიანობის საზიანოდ. ამ მუშაკთა მომზადება და გადამზადება ჯერ კიდევ სრულად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე წარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს. ყველა საწარმოში როდია შემუშავებული ოსტატთა საბჭოები, ზოგჯერ ისინი ვერ იჩენენ სათანადო ინიციატივას. ბევრ საწარმოში არ ქმნიან ან არარაციონალურად იყენებენ ოსტატის ფონდებს.

გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების მუშაობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევაში უბნებისა და საამქროების ოსტატების, უფროსების როლის შემდგომი გადიდებისა და მათი შრომის სტიმულირების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ დაავალეს სამინისტროებს, უწყებებს, მრეწველობის საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შექმნან ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ უბნებისა და საამქროების ოსტატები, უფროსები წარმატებით ასრულებდნენ კოლექტივების სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა რეალიზაციის მოვალეობას. დასახულია ამოცანა გაიზარდოს უბნებისა და საამქროების ოსტატების, უფროსების როლი და პასუხისმგებლობა წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის დაჩქარებაში, ახალი პროდუქციის გამოშვების ათვისებაში, კოლექტივებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებაში. მათ მიმართონ მათი მეცადინეობა მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ყოველმხრივ გამოყენებას მუშათა მაღალნაყოფიერი შრომის ორგანიზაციისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ყველა სახეობის რესურსების მომჭირნეობის, შრომის პირობების გაუმჯობესების, მოწინავე გამოცდილების გავრცელების, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის.

გათვალისწინებულია უბნებისა და საამქროების ოსტატების, უფროსების მუშაობა წარმართონ ისე, რომ თანამიმდევრულად გადაიყვანონ სტრუქტურული ქვედანაყოფები სამეურნეო ანგარიშზე, დანერგონ კოლექტიური იჯარა დარგებისა და წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით. გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადების შემადგენლობაში ოსტატთა შეყვანის დროს დაეკისროთ მათ ასეთი ბრიგადების ხელმძღვანელობა. უზრუნველყონ უბნებისა და საამქროების ოსტატების, უფროსების აქტიური მონაწილეობა შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ქვედანაყოფების საქმიანობის საწარმოო და სოციალურ საკითხთა გადაწყვეტაში.

უბნებისა და საამქროების ოსტატებს, უფროსებს წინადადება მიეცათ ამაღლონ მუშაკთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის შრომითი და ზნეობრივი აღზრდის დონე. შექმნან კოლექტივებში სასიკეთო მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, განამტკიცონ დისციპლინა, წესრიგი და ორგანიზებულობა. მიაღწიონ, რომ საამქრო რგოლის თითოეული ხელმძღვანელი იძლეოდეს დაკისრებული საქმისადმი კომპეტენტური და შემოქმედებითი დამოკიდებულების პირად მაგალითს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება უბნებისა და საამქროების ოსტატების, უფროსების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის სრულყოფას, ამ თანამდებობებზე ყველაზე მომზადებულ და ინიციატივიან ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაწინაურებას, ხოლო ოსტატთა თანამდებობაზე — მოწინავე ბრიგადირებისა და მაღალკვალიფიციური მუშების დაწინაურებას, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორული ნიჭი და ავტორიტეტი კოლექტივებში. რეკომენდებულია უფრო ფართოდ დააწინაურონ უბნებისა და საამქროების საუკეთესო ოსტატები, უფროსები უფრო მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მრეწველობის გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში. რეგულარულად განახორციელონ მათი მუშაობის მოწინავე გამოცდილების გაზიარება. გააძლიერონ ოსტატთა საბჭოების საქმიანობა, გაითვალისწინონ საბჭოების აზრი იმ საკითხთა გადაწყვეტის დროს, რომლებიც ეხება უბნებისა და საამქროების საქმიანობას, შესაბამისი ხელმძღვანელების დანიშვნასა და წახალისებას.

დადგენილებით გათვალისწინებულია უბნებისა და საამქროების ოსტატების, უფროსების შრომის ეფექტიანობისა და კომპეტენტურობის შეფასების დროს გაძლიერდეს ატესტაციის, როგორც მათი პროფესიული დონის ამაღლებისა და დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების ჩანერგვის ქმედითი საშუალების, როლი. დადგენილია, რომ ატესტაცია უნდა ეწყობოდეს 2 წელიწადში ერთხელ მაინც. ატესტაციის შედეგების შესაბამისად მხედველობაშია მიღებული მიიღონ გადაწყვეტილება თანამდებობაზე დაწინაურების, კლასის მიხედვით წოდების მინიჭების, სარგოების გადიდების, მისი დანამატის დადგენის, საჭიროების შემთხვევაში კი ცალკეული თანამდებობისათვის მოცემულ თანამდებობაზე მინიმალურ დაწესებული ოდენობის ფარგლებში სარგოების შემცირებისა ან თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. საატესტაციო კომისიების შემადგენლობაში შედიან საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ხელმძღვანელ მუშაკთა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტთა წრიდან. მათ შემადგენლობაში შედიან პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები და ოსტატთა საბჭოების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ უფლება მიანიჭეს მრეწველობის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ატესტაციის შედეგების მიხედვით დააწესონ დანამატები თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით უბნებისა და საამქროების ოსტატებს, უფროსებს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე და მის ფარგლებში (მაღალი კვალიფიკაციისათვის დანამატის ნაცვლად).

ატესტაციებს შორის პერიოდში საწარმოო მაჩვენებლების გაუმჯობესებისას აღნიშნული დანამატები შეიძლება გაიზარდოს (მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გაუარესდება საწარმოო საქმიანობის მაჩვენებლები, შესუსტდება კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობა, დაირღვევა შრომისა და საწარმოო დისციპლინა, დაკარგავს მუშაკი ავტორიტეტს კოლექტივში, გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელს შეუძლია შეამციროს ან გააუქმოს ისინი საატესტაციო კომისიის აზრის გათვალისწინებით. უფლება ეძლევათ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით და შრომითი კოლექტივების მოწონებით შრომაში მაღალი მიღწევებისათვის დანამატების დასაწესებლად გამოიყენონ მატერიალური წახალისების ფონდის იმ სახსრების ნაწილი, რომლებიც გათვალისწინებულია ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირებისათვის.

მრეწველობის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა გააუმჯობესონ ოსტატთა პროფესიულ-საკვალიფიკაციო დონისა და შრომითი წვლილის შეფასების პრაქტიკა და დაუწესონ იმათ, ვინც ყველაზე მეტად გამოირჩევა, „II კლასის ოსტატის" და „I კლასის ოსტატის" წოდებანი. დადგენილია, რომ ამიერიდან შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებამდე მოქმედი სქემებით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოები II კლასის ოსტატებს უდიდდებათ 10-15 პროცენტით და I კლასის ოსტატებს — 20-30 პროცენტით. ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს აღნიშნული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელფასის საგეგმო ფონდის ხარჯზე და მის ფარგლებში. სარგოების გადიდებასთან დაკავშირებით ოსტატს უქმდება ის პირობა, რომ ოსტატებს დაუწესდეთ თანამდებობრივი სარგოები კლასიანობისათვის.

დადგენილებით გათვალისწინებულია ნება მიეცეთ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს უბნებისა და საამქროების ცვლების მომუშავე მუშაკებს დაუდგინონ დამატებითი შრომის ანაზღაურება ღამით მუშაობისათვის იმ ოდენობით, რომელიც დაწესებულია ოსტატებისა და მუშებისათვის.

იმ ოსტატთა წახალისების მიზნით, რომლებსაც აქვთ მუშაობის დიდი გამოცდილება და მიაღწიეს შრომის ყველაზე მაღალ შედეგებს, რეკომენდაცია ეძლევათ სამინისტროებსა და უწყებებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად მრეწველობის დარგებში დააწესონ „საპატიო ოსტატის" წოდება. აღნიშნული წოდების მინიჭებისა და ამ ოსტატთა წახალისების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად.

იმ მუშათა წახალისების შესაძლებლობათა გაფართოებისათვის, რომლებიც თავს გამოიჩენენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაში, მატერიალური რესურსების მომჭირნეობაში, შრომითი დანახარჯების შემცირებაში, ახალი ტექნიკის ათვისებაში, ნება ეძლევათ მრეწველობის გაერთიანებებს, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ოსტატის განკარგულებაში გამოყოფილი საპრემიო ფონდი გაადიდონ უბნის ხელფასის საგეგმო ფონდის 5 პროცენტამდე ამ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელფასის საერთო ფონდის ხარჯზე და მის ფარგლებში. შრომითი კოლექტივის მოწონებით აღნიშნულ მიზნებს შეიძლება მიმართოს მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების ნაწილი. ოსტატის განკარგულებაში არსებული საპრემიო ფონდი იქნება იმ უბნებზე, რომლებიც საგეგმო დავალებებს ასრულებენ, ხოლო ფონდის კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება მუშაობის საერთო შედეგებში შესაბამისი უბნის წვლილის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს ოსტატ პრაქტიკოსთა მომზადების დონის ამაღლება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლების შემდგომ გაფართოებით (წარმოებას მოუწყვეტლივ) იმ საფუძველზე, რომ ეს სასწავლებლები აღიჭურვოს პროგრესული სახეობის მოწყობილობით, გამოიყენონ სწავლების აქტიური მეთოდები, მოაწყონ მსმენელთა სტაჟირება მოწინავე საწარმოებში, ჩააბან სასწავლო პროცესში მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მრეწველობის სამინისტროებს, უწყებებს, გაერთიანებებს, საწარმოებისა და ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც მოაწყონ უბნებისა და საამქროების ოსტატების, უფროსების კვალიფიკაციის სავალდებულო ამაღლება და გადამზადება (წარმოებას მოწყვეტით და მოუწყვეტლივ) კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებსა და მათ ფილიალებში, აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე საწარმოებში, ორგანიზაციებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან. მომზადებისა და გადამზადების პროცესში უზრუნველყონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა, დარგების, წარმოების და შრომის თანამედროვე ორგანიზაციის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, შრომატევადობის შემცირებისა და მატერიალური რესურსების მომჭირნეობის მოწინავე გამოცდილების შესწავლა და დაუფლება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისებას და პრაქტიკულ გამოყენებას, დიდმწარმოებლური მოწყობილობით შრომის პროგრესული წესებისა და მეთოდების დაუფლებას.

გათვალისწინებულია გამოიცეს საინფორმაციო, საცნობარო და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურა და უზრუნველყონ ამით საჭირო რაოდენობით უბნებისა და საამქროების ოსტატები, ხელმძღვანელები.

მრეწველობის საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების უბნებისა და საამქროების ოსტატებისათვის, უფროსებისათვის დაწესდება საწარმოო ფორმის ტანსაცმელი.

დადგენილება ძალაში შედის 1986 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება მრეწველობის საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებზე, საწარმოებზე, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებზე, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებზე მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემათა ინსტიტუტის კოლექტივი მუშაობს ავტომატური მართვის თეორიის განვითარებისა და თანამედროვე ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის მართვის რეალური სისტემების შექმნის აქტუალურ პრობლემებზე.

სურათზე: (წინა პლანზე) უფროსი ინჟინერი ნადეჟდა ღლონტი, ოპერატორი ელენე დანელიანი, ჯგუფის ხელმძღვანელი ედიშერ ჩიქოვანი, ნიკოლოზ ბრაილოვსკი, ოპერატორები ქეთევან თხილაიძე, ხვედანა პრუტკინა, მზია გოროხოვაია (მარცხნიდან) მუშაობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის აქტუალურ პრობლემებზე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს" უპასუხებენ

პარტიის დმანისის რაიკომი

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მეთაურ წერილში „იდეოლოგიური მუშაობა — სისტემატური პარტიული ხელმძღვანელობა" გაკრიტიკებული იყო რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონული პარტიული კომიტეტი იმისათვის, რომ ადგილებზე სათანადოდ ვერ იყენებენ ლექციურ პროპაგანდას, ჯეროვნად არ ზრუნავენ მისი დონისა და ქმედითობის ამაღლებისათვის, კონკრეტულობისათვის, ვერ რაზმავენ მშრომელებს მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის. ამის გამო „კომუნისტის" რედაქციას უპასუხებენ:

რაიონის მოსახლეობაში ლექციური პროპაგანდის დაბალი დონის გამო გაზეთში გამოთქმული კრიტიკა სინამდვილის შესაბამება. ლექციური პროპაგანდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის პარტიის რაიკომმა შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი. პარტიის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით ლექციური მუშაობით მოცულია ყველა კოლექტივი, რეგულარულად ხორციელდება მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის ღონისძიებანი, მიმდინარეობს მუშაობა საცხოვრებელ ადგილას, დიასახლისებს შორის.

რაიონული პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსახლეობის ათეისტური აღზრდისათვის ლექციური პროპაგანდის გაუმჯობესების საკითხებს. მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გააქტიურების მიზნით სალექციო მუშაობაში ფართოდ არიან ჩაბმული პედაგოგები, ექიმები, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები და სახალხო მეურნეობის სხვა სპეციალისტები.

რაიონის ბევრ შრომით კოლექტივში გაიმართა თემატური კონფერენციები, საუბრები „მრგვალ მაგიდასთან" თემებზე: „მეცნიერება და რელიგია", „რელიგია და ახალგაზრდობა", „ღმერთის ათეისტური კრიტიკა", „ისლამი და მისი დღევანდელობა", „რელიგია და ტრადიცია".

პირველადი პარტორგანიზაციებში შექმნილია ათეისტური კუთხეები, გამოდის კედლის გაზეთები, ხორციელდება აღმზრდელობითი ხასიათის სხვა ღონისძიებები.

ლექციური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გადაწყვეტილია 1985 წლის ბოლომდე შრომით კოლექტივებში დამთავრდეს აუდიტორიის პასპორტიზაცია და ლექტორთა კადრების ატესტაცია, პარტიის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტთან ჩამოყალიბდება ლექციური პროპაგანდის მეთოდიკური ცენტრი.

ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე პარტიის რაიკომის ბიუროზე ამ მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, ლექტორების, პროპაგანდისტების ინფორმაციათა მოსმენას, მათი სწავლებასა და ლექციურ პროპაგანდაში ახალგაზრდა ლექტორთა ჩაბმას.

პარტიის წულუკიძის რაიკომი

ჩვენი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველადი პარტორგანიზაციების მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები სწორია. პარტიის რაიკომის ბიურომ საგანგებოდ იმსჯელა მათზე და მიიღო შესაბამისი დადგენილება. მკაცრად იქნენ გაფრთხილებული ახალსოფლისა და გორდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების პარტიული კომიტეტების მდივნები. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ აჭური პროპაგანდისტები გ. კუხალაშვილი და მ. კვაჩხიძე განთავისუფლებულნი არიან თანამდებობიდან პროპაგანდისტის მოვალეობისაგან. გაძლიერებულია პროპაგანდისტთა შემადგენლობა, დასახულია ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

პროფკავშირული ორგანიზაციები:

შეჯიბრებაში — უფორმალიზმოდ

თავის XXVII ყრილობას კომუნისტური პარტია ეგებება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციით. სტრატეგიამ, რომელიც დასახულია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986–1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებში, ისტორიულად მოკლე დროში უნდა უზრუნველყოს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ზრდა, კიდევ უფრო სრულად გამოავლინოს სოციალისტური წყობილების ამოუწურავი შესაძლებლობანი და უპირატესობანი.

მიმდინარე წლის მაისში ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გამოსვლისას ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ პარტიის ძირითადი სტრატეგიული ამოცანის განხორციელებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარებისათვის საჭიროა დრო. რა უნდა ვაკეთოთ მაშინ, თქვა მან, როცა მაღალ დონეზე ავიყვანთ მანქანათმშენებლობას, გზას გავუხსნით მეცნიერულ მიღწევებს! ხომ წინ უნდა წავწიოთ ყველა სფერო, მათ შორის თავდაცვაც განვამტკიცოთ და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაც უზრუნველვყოთ. ამიტომ ეკონომიკის უფრო სწრაფი განვითარებისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე შეგვიძლია მივიღოთ და კიდეც უნდა მივიღოთ არსებითი მატება წესრიგის დამყარების, შრომის, ტექნოლოგიური და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების გზით. საჭიროა, თქვა შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავამოქმედოთ თითოეული კოლექტივის განკარგულებაში არსებული რეზერვები და, უწინარეს ყოვლისა, გავააქტიუროთ ადამიანის ფაქტორი, მივაღწიოთ, რომ თითოეული თავის ადგილას მუშაობდეს კეთილსინდისიერად და სრული უკუგებით, მკაცრად იცავდეს დისციპლინას.

მშრომელთა აქტიურობის გაძლიერების უდიდეს მნიშვნელობას ხაზი გაესვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმზე, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში.

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადებით გამოწვეულმა დიდმა პოლიტიკურმა და შრომითმა აღმავლობამ ყველა პირობა შექმნა მეთერთმეტე ხუთწლედის უკანასკნელი წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მაგალითად, რესპუბლიკის 150 ათასზე მეტმა მშრომელმა, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 120-ზე მეტმა კოლექტივმა, ორი ათასმა ბრიგადამ, საამქრომ და უბანმა უკვე შეასრულა ხუთწლედის გეგმები.

ამ დღეებში მოდის ცნობები ბევრი წარმატების, მნიშვნელოვანი შრომითი წამოწყებების შესახებ. მაგალითად, თაოსნობა „წარმოების ინტენსიფიკაციას — მუშური გარანტია“ — გამოიჩინეს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომპლექსური სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების კოლექტივებმა, რომლებსაც სათავეში უდგანან გ. მეტონიძე და შ. გამცემლიძე. ახალი ხუთწლეულის საკონტროლო ციფრების განხილვისას მათ გამოიტანეს დასკვნა, რომ თითოეულ მუშას შეუძლია შრომის ნაყოფიერება გაადიდოს საშუალოდ 2-3 პროცენტით. ამის მიღწევა მათ გადაწყვიტეს ერთიანი ტექნოლოგიური ჯაჭვით, ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკეული საამქროების, უბნებისა და ბრიგადების ურიტმო მუშაობით გამოწვეული ცვლებშიდა მოცდენების აღმოფხვრით, გადაწყვიტეს აგრეთვე მთელი პროდუქცია ჩააბარონ პირველი წარდგენით, არსებითად დაზოგონ რესურსები.

ერთი შეხედვით, თითქოს ლოკალური ფაქტია. მაგრამ მოწინავეთა თაოსნობა არ ამოიწურება მხოლოდ ორი ბრიგადის ფარგლებით. 40 ბრიგადამ, რომლებშიც 600 მუშაა გაერთიანებული, ანალოგიური ვალდებულებანი იკისრა და ერთმანეთთან დადო მოწყობილობის შეუფერხებელი მიწოდების ხელშეკრულებანი. ამის შედეგად მიმდინარე წლის მარტო ათ თვეში მეთაურ საწარმოში გამოძებნეს 1,3 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციის ზეგეგმითი წარმოების მატერიალური და შრომითი რესურსები, შარშანდელი წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 3,1 პროცენტით გაზარდეს.

ელმავალმშენებელთა ინიციატივას, რომელიც საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა, მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც. „თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივმა, მაგალითად, გამოძებნა 19 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ზეგეგმითი წარმოების რეზერვები, რამაც უზრუნველყო თბილისის მეტროს ახალი სადგურების ვადამდე ამოქმედება. ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მაღაროელებმა ვალდებულება იკისრეს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის დამატებით ამოიღონ 3,2 ათასი ტონა ქვანახშირი. რუსთავის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების № 3 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლებმა გადაწყვიტეს სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის მომავალი წლის პირველი კვარტალის გეგმის გადამეტებით გადაზიდონ ხუთი ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ასეთ სერიოზულ უბანზე არ გვაქვს ნაკლოვანებები, ფორმალიზმის ელემენტები. ინტენსიფიკაციის გზით რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას გარკვეულწილად აფერხებს ის, რომ მთლიანად ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება ხდება მხოლოდ მოწინავე საწარმოთა ხარჯზე. მათ გვერდით ხომ არის ათობით სხვა კოლექტივი, რომლებიც ისეთივე პირობებში მუშაობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სისტემატურად ვერ ასრულებენ გეგმებს. მაგალითად, 1984 წელს სამუშაო დროის არამწარმოებლური დანაკარგების გამო რესპუბლიკაში დაიკარგა იმის შესაძლებლობა, რომ მრეწველობაში დამატებით დამზადებულიყო 70 მილიონამდე მანეთის პროდუქცია, ესე იგი მისი მოცულობის ზრდის ტემპი დაგვეჩქარებინა 0,2 პროცენტით. მიმდინარე წლის ათ თვეში 163 საწარმომ ვერ შეასრულა 179,7 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის დავალებანი, 126 საწარმომ კი ვერ შეასრულა სახელშეკრულებო მიწოდებათა დავალებანი. ამის შედეგად ამ მნიშვნელოვანმა მაჩვენებელმა მთლიანად რესპუბლიკაში მხოლოდ 98,8 პროცენტი შეადგინა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ერთიანი განწესით მომუშავე ბრიგადები. რესპუბლიკის მრეწველობაში მათმა ხვედრითმა წილმა ბრიგადების საერთო რიცხვში მიაღწია 64,5 პროცენტს. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა საშუალებას გვაძლევს უფრო წარმატებით გადავწყვიტოთ არა მარტო საწარმოო, არამედ სოციალური და აღმზრდელობითი ამოცანებიც. მაგრამ სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები ხალხის ცოცხალი შემოქმედებისადმი ხელმძღვანელობაში ურიგდებიან ფორმალიზმს. საკმარისია ითქვას, რომ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით ხელფასის გაანგარიშებას აწარმოებს ბრიგადების მხოლოდ 48 პროცენტი, სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადები კი უფრო ნაკლებია — 14 პროცენტი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათი მუშაობის ეფექტიანობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის გაუმჯობესებას, გავადიდოთ ახალი ტიპის ბრიგადების — გამსხვილებული, კომპლექსური, გამჭოლი, ერთიანი განწესით მომუშავე ბრიგადების რიცხვი, სადაც ანაზღაურება ხდება საბოლოო შედეგების, აგრეთვე შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის შესაბამისად ხელფასის განაწილების პრინციპის მიხედვით. აქედან გამომდინარეობს სხვა მნიშვნელოვანი ამოცანაც — ფართოდ გავავრცელოთ ბრიგადული სოციალისტური შეჯიბრება, გავითვალისწინოთ ახალ პირობებში მისი განვითარების თავისებურება.

ან ავიღოთ მაგალითად, შეხვედრი დაგეგმვა, რომელიც სოციალისტურ ვალდებულებათა მიღების უმაღლესი ფორმაა. რესპუბლიკის ყველა შრომითმა კოლექტივმა, რომლებსაც ჰქონდათ სოციალისტური განვითარების გეგმები, შარშან იკისრეს შეხვედრი გეგმები ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების დამატებითი ზრდა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. მაგრამ იმის გამო, რომ სამეურნეო ორგანოებს, მათ შორის სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წაყრუებით დადგენილი წესით არ გაუფორმებიათ ეს ვალდებულებანი, მათგან მხოლოდ 20 პროცენტი გახდა გეგმა. ამის შედეგად ბევრმა შრომითმა კოლექტივმა ვერ მიიღო დამატებითი სახსრები მშრომელთა მატერიალური წახალისების ფონდში გადიდებული ნორმატივების შესრულებისათვის.

რაც შეეხება საზოგადოებრივ, უწინარეს ყოვლისა, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მათი როლი ადამიანთა შრომითი აქტიურობის გადიდებაში სრულიადაც არ ამოიწურება მხოლოდ ეფექტიანი სოციალისტური შეჯიბრების გაშლით. მათი მოვალეობა ისიც, რომ გააძლიერონ ზრუნვა მუშა-მოსამსახურეთა შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალური და კულტურული საჭიროებების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის. და ამ სოციალურ საჭიროებებს უნდა მიუდგნენ ახლებურად, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმი.

ერთი სიტყვით, წინ დიდი სამუშაო გველის. ამოცანა ის არის, რომ გავააქტიუროთ მშრომელთა შემოქმედებითი აღმავლობა, პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტების განხილვის დროს კიდევ უფრო გავზარდოთ შრომითი ენთუზიაზმი.

თ. მოსაშვილი,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ალკოჰოლს ზურგი აქციეს

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს

ნასვამი კაცი მწყობრიდან არის გამოსული, საღი აზროვნებისა და თავშეკავების უნარი მოშლილი აქვს, კონტროლს ვერ უწევს საკუთარ ქცევას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და, მით უფრო, სამუშაოზე მისი ამ მდგომარეობაში მოსვლა, სრულიად შეუწყნარებელია. გონებადაბინდული ადამიანი სხვებთან ნორმალური კონტაქტისა და შრომისათვის გამოუსადეგარია. ზიანი მოაქვს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, ამიტომ იქცა ეს საკითხი პარტიული ზრუნვის საგნად.

პავლე ფროლოვი სამედლოსაჩამომსხმელო საამქროს მეყალიბეა, კარგი სპეციალისტი და მოწინავე მუშა. საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, პარტიის წევრია, ერთი სიტყვით, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში ვისაც უნდა ჰკითხოთ, პავლეს ყველა დადებითად დაგიხასიათებთ.

ასეთი კაცი ერთ დღეს ნასვამი მოვიდა სამუშაოზე, საამქროს უფროსმა არ მოუწონა საქციელი, უსაყვედურა. ამაზე პავლე გაბრაზდა, როგორ თუ შენიშვნის მოცემა გამიბედეთო, ერთი ამბავი დააწია, უცენზურო სიტყვების კორიანტელი დააყენა.

პარტიული კომიტეტის სხდომამ განიხილა პავლე ფროლოვის პერსონალური საკითხი. მკაცრად იმსჯელა სმისა და ლოთობის ცალკეულ შემთხვევებზე და, თუმცა ფროლოვისათვის ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევა იყო, არ აპატია: გამოუტანა პარტიული სასჯელი — საყვედური პირად ბარათში შეტანით. საამქროს უფროსი გელა ბერიაშვილიც დაისაჯა კონტროლის შესუსტებისათვის, მასაც საყვედური გამოუტანეს, ასეთ პრინციპულ დონემდეა დღეს აყვანილი ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ გურამ რატიანმა თქვა, რომ ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ადრეც იბრძოდნენ, აღნიშნა, რომ წინა წლებში გამოსაფხიზლებლიდან ხშირად მოსდიოდათ შეტყობინებები. მაგალითად, ქარხნის ადმინისტრაციას აცნობეს, რომ უგონოდ ნასვამი ნ. პალნინი (სამჭედლოსაჩამომსხმელო საამქრო), ს. ნონიევი (სამგზავრო-სავაგონო საამქრო), დ. მეტრეველი (სარემონტო-სამშენებლო უბანი), დ. აბეწუაშვილი (სატრანსპორტო საამქრო), ტ. ბახტაძე (მოტორ-ვაგონსექციების შემკეთებელი) და ქარხნის სხვა მუშები გამოსაფხიზლებელში მოხვდნენ. შარშან და წინა წლებში პარტიული კომიტეტების სხდომებზე განიხილავდნენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, სახავდნენ ღონისძიებებს, მაგრამ ზომები მკაცრი არ იყო და შესაძლოა ასეთი ლმობიერების გამოც ზოგჯერ სასურველი შედეგი არ მოსდევდა.

სულ სხვა სურათია ახლა, ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა ყველგან გააქტიურდა და სასურველი შედეგიც მოჰყვა. ბევრმა მსმელმა ალკოჰოლზე ხელი რომ აიღო, ეს დღეს ნამდვილად იგრძნობა.

ამ საქმეს მთელი სერიოზულობითა და გულისყურით მოეკიდნენ ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაშიც. პარტიული კომიტეტის სხდომაზეც და ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე განხილული საკითხი „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხილვას მიეძღვნა. საამქროების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმაც იმსჯელეს ამ საკითხზე. არ დარჩენილა მუშა, რომ ამ დადგენილებას არ გასცნობოდეს.

ქარხანაში ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ღონისძიებები ხორციელდება. უწინარესად პარტიულ კომიტეტთან შეიქმნა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია, ჩამოყალიბდა ნარკოლოგიური კაბინეტი, საზოგადოება „ცოდნას“ სთხოვეს ამ თემაზე ლექციური პროპაგანდის გაწევა, შრომის დისციპლინისა თუ სხვა დარღვევებთა, აგრეთვე ალკოჰოლიკების გამოსავლენად ქარხნის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის წევრები, კომკავშირულ პროჟექტორთან ერთად აწყობენ რეიდებს და სხვა.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის აუცილებლობა: „საჭიროა გაუმჯობესდეს მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაცია, შეიქმნას პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებას“, ამ მითითებათა ხორცშესხმისათვის ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა მუშათა და ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციას. პროფილაქტიკის მიზნებს ემსახურება ქარხნის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი თბილისის ზღვაზე, კომკავშირის კომიტეტის ღონისძიებებიდან აღსანიშნავია სპორტული შეჯიბრებები, საშემოდგომო სპარტაკიადები.

საინტერესოდ საქმიანობენ კულტურის სასახლის წრეებიც: ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლში, ხალხური სიმღერების შემსწავლელ წრეში, ქართულ, რუსულ, ოსურ თეატრალურ დასებში გაერთიანებული არიან ახალგაზრდა, მოყვარული მსახიობები. მათი პროგრამები და რეპერტუარი ხალისიანსა და საინტერესოს ხდის დასვენების საღამოებს.

ლექციური პროპაგანდის ერთგვარ სამსახურშია კინოც. აქვე კულტურის სახლის კინოდარბაზ „განთიადში“ უჩვენებენ სამეცნიერო-პოპულარულ და დოკუმენტურ ფილმებს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის მავნეობაზე.

პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე გ. რატიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოლო ხანს საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა, ლოთობა თითქმის აღმოიფხვრა, რადგან აქ მის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაა გაჩაღებული. ამას პავლე ფროლოვის ცხოვრების ზემოთ მოყვანილი მაგალითიც გვიდასტურებს.

ნ. ბრეგაძე.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

12 დეკემბერი ● საქდესი იუწყება

მშვიდობის გზაზე თანამშრომლობისათვის

საბჭოთა კავშირი, რომელსაც მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრა ჟენევაში გარკვეული წარმატებაა, მაგრამ მხოლოდ პირველი ნაბიჯია, მხარს უჭერს იმას, რომ სიტყვები, განზრახვანი, პოლიტიკური განცხადებანი კონკრეტული გადაწყვეტილებებითა და საქმეებით განმტკიცდეს, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გამოსწორებას, მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას. იგი მზად არის შეერთებულ შტატებთან პატიოსანი ურთიერთმოქმედების სულისკვეთებით მიაღწიოს გამაღლებული შეიარაღების შეზღუდვას, მის დაუშვებლობას კოსმოსში, მსოფლიო ვითარების გაუმჯობესებას, და ამასვე მოელის ამერიკის შეერთებული შტატებისგან.

ეს აზრი ხაზგასმით არის აღნიშნული ფართო საერთაშორისო გამოხმაურებებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვასთან დაკავშირებით, რომელიც მან ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს მორიგი წლიური კრების გამართვისადმი მიძღვნილ სადილზე წარმოთქვა.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ, მოსკოვის აზრით, თუმცა ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრამ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების გზა დასახა, ვაჭრობის მოცულობა შეზღუდული იქნება, სანამ ვაშინგტონი არ აღმოფხვრის პოლიტიკურ დაბრკოლებებს, კერძოდ „საექსპორტო კონტროლს“, მოსკოვისათვის ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭების აკრძალვას და კრედიტების მიუცემლობას. საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვევად ქცეული ბოიკოტების, ემბარგოს, „დასჯის“, სავაჭრო კონტრაქტების დარღვევის პოლიტიკა. მოწოდებას იმის თაობაზე, რომ შემცირდეს შეზღუდვები ვაჭრობაში, მხარს უჭერს ბევრი ამერიკელი ბიზნესმენი, წერს გაზეთი და დასძენს, რომ საბჭოს მორიგი წლიური კრების მონაწილენი შეეცადნენ ეს შეხვედრა წარმოედგინათ როგორც უმაღლეს დონეზე ჟენევის შეხვედრის პოზიტიური შედეგი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, იტყობინება იაპონიის საინფორმაციო სააგენტო კიოდო ცუსინი, სრული სისულელე უწოდა ვერსიას, თითქოსდა სსრ კავშირის თავდაცვითი პოტენციალი ლამის მთლიანად დასავლეთისგან ნაყიდ ტექნოლოგიას ემყარებოდეს. მან განაცხადა, რომ ორ ეკონომიკურ გიგანტს — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს, სავსებით შეუძლიათ ერთმანეთთან ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე ცხოვრება და განვითარება. მაგრამ მოსკოვმა ხაზი გაუსვა, რომ ახლანდელ საშიშ ვითარებაში ორი ქვეყნის ეკონომიკური პარტნიორობა დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს.

სირიის „ალ-ბაასი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გამოსწორებას, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვითარების სტაბილიზაციას, მშვიდობისა და უშიშროების საქმის განმტკიცებას. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებას. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი გააფართოებს განვითარებად ქვეყნებთან ვაჭრობას და სხვა ფორმის ეკონომიკურ თანამშრომლობას.

საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ადამიანების, განსხვავებულ საზოგადოებრივი წყობილებისა და იდეოლოგიის ხალხების, სახელმწიფოების თანამშრომლობა სავსებით შესაძლებელი და ფრიად საჭირო საქმეა, წერს ბულგარეთის „რაბოტნიჩესკო დელო“. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის მთავარ საკითხს ომისა და მშვიდობის საკითხი წარმოადგენს. ამ ურთიერთობის ყველა დანარჩენი საკითხი, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობაც, ამ მთავარ საქმეს უნდა ემსახურებოდეს. საბჭოთა კავშირი ხაზს უსვამს, რომ დღევანდელ საშიშ ვითარებაში ჩვენ უბრალოდ არ შეგვიძლია, უფლება არა გვაქვს უგულებელვყოთ ურთიერთობის ისეთი სტაბილიზატორი, როგორიცაა ვაჭრობა, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობა, უნდა გამოვიყენოთ ისინი მუდმივი, ნორმალური, მეგობრული ურთიერთობის დამყარების მძლავრ სტიმულად. მიაჩნია რა, რომ სამხედრო ბიზნესი საშიშ გავლენას ახდენს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე. მოსკოვი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა შეესაბამება არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ შეერთებული შტატების ნამდვილ სასიცოცხლო ინტერესებსაც.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის ყოველმხრივ განვითარებას მშვიდობის ინტერესებისათვის, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“. მას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება. სსრ კავშირი გააფართოებს ვაჭრობას და სხვა ფორმის ეკონომიკურ თანამშრომლობას დასავლეთ ევროპასთან, იაპონიასთან, განვითარებად ქვეყნებთან, მას სურს, რომ ამ პროცესში მოექცეს ეკონომიკური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც, მაგრამ ამ ურთიერთობის განვითარებას ვაშინგტონის შესაბამისი პოლიტიკური მისწრაფება სჭირდება. საბჭოთა კავშირის აზრით ჟენევის შეხვედრა გარკვეული წარმატება გახდა, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ყოველი მომდევნო ნაბიჯი კი მოითხოვს კიდევ უფრო მეტ გარჯას, მეტ მზადყოფნას მოსმენისათვის, ერთმანეთის გაგების, დასაბალოებლად წინსვლის სურვილსა და უნარს. და, რაც მთავარია, — მზადყოფნას თანასწორუფლებიან და ურთიერთმისაღებ საფუძველზე მოლაპარაკების ურთულესი ზღვრების დასაუფლებლად, ურომლისოდაც ვერ გადაიჭრება სერიოზული პრობლემები.

საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ კონკრეტული საქმეებით უმჯობესდებოდეს მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატი, დაასკვნის „ნოიეს დოიჩლანდი“ (გდრ). იგი ესწრაფვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტაბილური ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ ამ გზაზე მთავარი დაბრკოლებები პოლიტიკური და არა ეკონომიკური ხასიათისაა. სსრ კავშირი შეერთებულ შტატებს მოუწოდებს პერსპექტიული შესაძლებლობების ძიებას არა ნგრევისა და სიკვდილის, არამედ მშვიდობის გზებით, ყველა ქვეყნისა და ხალხის თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის მეცადინეობის გაერთიანების გზებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

შეწყდეს სამხედრო ჩარევა!

მოითხოვეს უშიშროების საბჭოს სხდომის მონაწილეებმა

ნიუ-იორკი. ნიკარაგუის საქმეებში გარედან სამხედრო ჩარევის შეწყვეტა მოითხოვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომის მონაწილეებმა. სასწრაფო სხდომა, როგორც ცნობილია, მოიწვიეს ნიკარაგუის მთავრობის თხოვნით შეერთებული შტატების აგრესიის ესკალაციის შედეგად ცენტრალურ ამერიკაში მკვეთრად გამწვავებული ვითარების განსახილველად.

ჩვენ პატივს ვცემთ ნიკარაგუის ხალხის უფლებას თვითონ განაგებდეს თავის ბედ-იღბალს, განაცხადა მიუმხრობლობის მოძრაობის სახელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინდოეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ნათარაჯან კრიშნანმა. ჩვენ ვგმობთ ნიკარაგუის საშინაო საქმეებში ჩარევის პოლიტიკას და გვჯერა, რომ ცენტრალური ამერიკის კონფლიქტი შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

საბჭოთა კავშირის, მექსიკის, კუბის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ნიკარაგუის წინააღმდეგ მტრული მოქმედების მუდმივი გაძლიერების შედეგად ცენტრალურ ამერიკაში მეტად საშიში სიტუაცია შეიქმნა. ამის მთავარი მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქციების ესკალაცია, რომელიც „ძალით ცდილობს უკან დაატრიალოს ისტორიის საათი“, განაცხადა პერუს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კარლოს ალსამორამ.

მიიღეს ერთხმად

მშვიდობიანი თანაარსებობა ერთადერთი გონივრული და მისაღები გამოსავალია

ნიუ-იორკი. გენერალური ასამბლეის მე-40 სესიის დელეგატებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ავალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაიწყოს მუშაობა დოკუმენტზე, რომელშიც ჩამოყალიბებული და განვითარებული იქნება სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების პრინციპი.

მწვავე წინააღმდეგობებით აღსავსე მსოფლიოში, ბირთვული კატასტროფის საფრთხის წინაშე სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა ერთადერთი გონივრული და მისაღები გამოსავალია, აღნიშნეს დელეგატებმა. კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რათა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა დაძაბულობის შენელებისა და ურთიერთნდობის კალაპოტში დავაბრუნოთ, განაცხადეს დელეგატებმა.

ფოტოფაქტი

პუერტო-რიკო: ვაშინგტონის მარწუხებში



პუერტო-რიკო პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოა კარიბის ზღვაში. 33 წლის წინათ, 1952 წლის ივლისში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც სისხლში ჩაახშო პუერტორიკოელთა აჯანყება კოლონიალიზმის უღლისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის, კუნძულს თავს მოახვია „თავისუფლად შეერთებული“ სახელმწიფოს სტატუსი.

ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, რომელსაც ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაცია ახორციელებს, პუერტო-რიკო ამჟამად უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. ქვეყნის ეკონომიკის, სიმძლავრეთა თითქმის 90 პროცენტი ამერიკულ კორპორაციებს ეკუთვნით, რომლებიც კუნძულის მოსახლეობის უმოწყალო ექსპლოატაციის მეოხებით ყოველწლიურად წმინდა მოგების სახით 2,5 მილიარდ დოლარს იღებენ. სადღეისოდ ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტი უმუშევარია. მცხოვრებთა 60 პროცენტი ყოვლად უმწეო მდგომარეობაშია.

მაგრამ ვაშინგტონისთვის პუერტო-რიკო მარტო ეკონომიკური დანამატი როდია. კუნძული მას სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად მიაჩნია. ბოლო სამ ათწლეულში იგი კარიბის ზღვაში შეერთებული შტატების „ჩაუძირავ ავიამზიდად“ იქცა. ამჟამად ქვეყანაში განლაგებულია 15 ამერიკული სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზა, სადაც ოცი ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერია, ხოლო „რუზველტ როუდსის“ ბაზაში განლაგებულია ბირთვული იარაღი.

პუერტო-რიკო ამასთანავე ამერიკის არმიის სასწავლო პოლიგონია. სწორედ აქედან გადასხეს გრენადაში სპეციალური დანიშნულების ჯარების პირველი 300 არამზადა ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ამერიკის ინტერვენციის დროს.

სურათებზე: ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი სამხედრო ბაზა კუნძულზე; პუერტო-რიკოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მანიფესტაციის მონაწილის დაპატიმრება.

პრენსა-ლატინა-საქდესის ფოტო.

● საფრანგეთი

მთავრობის ანტიხალხური აქცია

პარიზი. იმ მიზნით, რომ ეროვნულ კრებას მიაღებინოს კანონპროექტი „სამუშაო დროის მოწესრიგების“ თაობაზე, საფრანგეთის მთავრობამ მიმართა პროცედურას, რომელიც საშუალებას იძლევა კანონ-პროექტის მიღება დაუკავშირონ მთავრობისადმი ნდობის საკითხს. თუ 24 საათის განმავლობაში არ შეიტანენ რეზოლუციას კაბინეტისადმი უნდობლობის თაობაზე, კანონპროექტი ავტომატურად მიღებულად ჩაითვლება. შემდეგ იგი სენატს უნდა გადაეცეს განსახილველად.

ხელისუფალთა აქციის წინააღმდეგ გაილაშქრა კომუნისტ დეპუტატთა ჯგუფმა ეროვნულ კრებაში და აღნიშნა, რომ განაგრძობს ბრძოლას ამ ანტიხალხური კანონის წინააღმდეგ. ხელისუფალთა მოქმედება გულისწყრომით დაგმო აგრეთვე შრომის საყოველთაო კონფედერაციამ. ამ პროფკავშირული გაერთიანების ხელმძღვანელობის აქ გავრცელებული განცხადება შეიცავს მოწოდებას 19 დეკემბერს მოაწყონ მშრომელთა მოქმედების საერთო-ეროვნული დღე კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც სერიოზულად უთხრის ძირს ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესებსა და მის სოციალურ მონაპოვრებს.

● ახალი ზელანდია

განიხილავენ კანონპროექტს

კანბერა. ახალი ზელანდიის პარლამენტი შეუდგა კანონპროექტის განხილვას, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ნავსადგურებში ბირთვული იარაღით აღჭურვილი და ატომური ძალურდანადგარებიანი ხომალდების შესვლის, ახალი ზელანდიის საჰაერო სივრცისა და აეროპორტების ბირთვული იარაღის მატარებელი თვითმფრინავების მიერ გამოყენების აკრძალვას.

● ბულგარეთი

დასავლეთის სპეცსამსახურების შეთქმულების მსხვერპლი

ს. ანტონოვის დაცვის ეროვნული კომიტეტის განცხადება

სოფია. იმ ფაქტების მიუხედავად, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობს, რომ ბულგარელ მოქალაქე სერგეი ანტონოვს მონაწილეობა არ მიუღია რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურზე თავდასხმაში, იგი უკვე სამ წელზე მეტია საპყრობილეშია. ეს ადამიანის უფლებებისა და პირადი თავისუფლების უხეში დარღვევაა, ნათქვამია ს. ანტონოვის დაცვის ეროვნული კომიტეტის განცხადებაში, რომელიც აქ გავრცელდა ადამიანის უფლებათა დღესთან დაკავშირებით.

რომის სასამართლო პროცესს, აღნიშნულია დოკუმენტში, დასკვნითი ფაზა დაუდგა, მაგრამ მთელი სასამართლო გამოძიების დროს ვერ გამოავლინეს თავდასხმაში ბულგარელი მოქალაქეების მონაწილეობის დამამტკიცებელი საბუთები. სასამართლო ხელისუფალთა ყველა ცდა, რაიმე დადასტურება მოუნახონ ტერორისტ აღჯას ყალბ ჩვენებებს, მარცხით დამთავრდა, ხოლო მოწმე ჯ. პანდიკოს ამასწინანდელი განცხადება ადასტურებს, რომ ს. ანტონოვი დასავლეთის სპეცსამსახურების შეთქმულების მსხვერპლი გახდა, აღნიშნულია განცხადებაში.

ახლა, როცა ნათელია, რომ არ არსებობს რაიმე „ბულგარული კვალი“ წმინდა პეტრეს მოედანზე თავდასხმის ორგანიზაციასა და მოწყობაში, ხაზგასმულია დოკუმენტში, იტალიის კომპეტენტური ორგანოების იურიდიული და მორალური ვალი ის არის, რომ ს. ანტონოვის მიმართ წაყენებული ბრალდება მოხსნან და იგი გაათავისუფლონ.

● თურქეთი

საჩუქრად ქ. ათათურქის პორტრეტი

ანკარა. სსრ კავშირის ელჩმა თურქეთში ვ. ს. ლავროვმა თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს საჩუქრად გადასცა ცნობილი საბჭოთა მხატვრის ახმედ კიტაევის მიერ შექმნილი ქემალ ათათურქის პორტრეტი.

საზეიმო ცერემონიაზე გამოვიდა თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი მ. თაშჩიოღლუ. მან თქვა, რომ ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა და ღრმა შინაარსი აქვს. „ეს ჩვენი კულტურული ურთიერთობის განვითარების მარტოოდენ დიდმნიშვნელოვანი ნიმანსვეტი კი არა, თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებლის ქემალ ათათურქისა და მისი სახით მთელი თურქი ხალხის პატივისცემის ნიშანია“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

ვ. ს. ლავროვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირში კარგად იცნობენ და პატივს სცემენ ქემალ ათათურქს, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელთან ვ. ი. ლენინთან ერთად იდგა ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის სათავეებთან. „მას შემდეგ, — თქვა მან, — საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობა ყველა დარგში გაფართოვდა ორივე ქვეყნის ხალხების და ამ რეგიონისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის“. საბჭოთა ელჩმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირ-თურქეთის კულტურული ურთიერთობა წლითიწლობით მტკიცდება.

თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ქემალ ათათურქის პორტრეტი ექსპონირებული იქნება ანკარის ხელოვნების სახელმწიფო გალერეაში.

● ჩინეთი

გამოქვეყნდა დირექტივა

პეკინი. ჩინეთის გაზეთებში გამოქვეყნდა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დირექტივა, რომელიც მოითხოვს სასწრაფო და ეფექტიანი ღონისძიებები განახორციელონ კორუფციის აღსაკვეთად.

ასეთი მოვლენები, ნათქვამია დოკუმენტში, „სერიოზულად უთხრიან ძირს პარტიისა და მთავრობის ავტორიტეტს, ხალხის დიდ უკმაყოფილებას იწვევენ“.

დირექტივაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი პარტიული და სამთავრობო ორგანოების ხელმძღვანელები მონაწილეობენ საქვეო ბიზნესში, იღებენ უკანონო შემოსავალს და ეწევიან სპეკულაციას, სხვადასხვა მაქინაციებსა და გამოძალვას. დირექტივაში დათქმულია ამ „მანკიერი მოვლენების“ აღსაკვეთად გამიზნული ღონისძიებების შესრულების კონკრეტული ვადები.

● ინგლისი

მხარი დაუჭირა რასისტებს

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეფრი ჰაუმ თემთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტში გამოსვლისას კატეგორიულად განაცხადა, რომ კონსერვატორთა მთავრობა არ აპირებს სამხრეთ აფრიკის მიმართ თავისი პოლიტიკის შეცვლას.

როგორც საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა თქვა, ტორის კაბინეტი არაფერს არ იღონებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრეტორიის რასისტული რეჟიმი გაამკაცრებს რეპრესიებსა და ტერორს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრი აფრიკული მოსახლეობის მიმართ. მინისტრი კონსერვატორთა მთავრობის პოზიციას იმით ამართლებდა, რომ ყოველგვარი ღონისძიება, მათ შორის კონკრეტული სანქციები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ არავითარ ნაყოფს არ გამოიღებსო.

● ავღანეთი

ტერორისტთა გასამართლება

ქაბული. აქ გაიმართა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალური რევოლუციური სასამართლოს ღია სხდომა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის „ჯამიათე ისლამის“ წევრ ტერორისტთა ჯგუფის საქმის გამო. დამნაშავეებს წაუყენეს ბრალდება, რომ ისინი დივერსიულ აქტებს აწყობდნენ ავღანეთის დედაქალაქში, რომლებსაც მოჰყვა მოსახლეობის მსხვერპლი და მატერიალური ზარალი. უცილობელი სამხილების გამო ბრალდებულებმა აღიარეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობანი. როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, სასამართლომ ორ ბანდიტს მიუსაჯა სიკვდილი, დანარჩენებს სხვადასხვა ვადის პატიმრობა.

შემოქმედის მკათათვე და ლვინობისთვე

ინფორმაცია — 85 • ინფორმაცია — 85

ობელისკი

მესხეთ-ჯავახეთის მთებში არის ასეთი სოფელი კოთელია. გადმოცემის თანახმად, იგი უძველეს დროში დაუარსებიათ ძმებს — მამაც მეომრებს კონსტანტინეს და ილიას, და სოფლის სახელიც, თურმე აქედან მოდის.

ტრაგიკული იყო წარსულში მესხეთ-ჯავახეთის ხვედრი. დამპყრობელთა ურდოებმა ლამის მთლიანად ამოჟლიტეს აქაური მკვიდრი მოსახლეობა. ბედმა დაინდო, თუ, როგორც ხალხური ლეგენდები ამბობენ, ამ სოფლის სახალხო გმირებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ შემოსევებს გადაურჩა კოთელია?

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე სოციალისტური სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა 162 კოთელიელი ვაჟკაცი — სოფლის თითქმის ყველა მამაკაცი და შინ მხოლოდ თერთმეტი დაბრუნდა.

და დღეს, როცა წამოიზარდა და დავაჟკაცდა თაობა, რომელსაც არ განუცდია ომის საშინელებანი, კვლავ და კვლავ, როგორც ჯარისკაცები მწყობრში, აღიმართებიან უკვე შვილიშვილთა ხელით შექმნილი მადლიერი ხსოვნის ობელისკები.

სამოცმა მებრძოლმა — ამჯერად უკვე მშვიდობიანი შრომის მებრძოლმა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის მირზა გელოვანის სახელობის სტუდენტთა სამშენებლო რაზმში „ახალქალაქი-85" და მესამე შრომითს სემესტრს ახალქალაქის რაიონში გადიოდნენ, რაიონში ჩასვლის პირველსავე დღეს ამ სოფლის მძიმე ბედის ამბავი შეიტყვეს. აი, სწორედ მაშინ იშვა რაზმში აზრი, რომ პატარა, მოკრძალებული ძეგლი დაედგათ შინმოუსვლელი ჯარისკაცებისათვის. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირის ორგანიზაციას ამ საქმეში კარგა ხნის გამოცდილება აქვს, შემდეგ კი ეს იდეა დაიხვეწა, განვითარდა და გადაწყვიტეს პატარა ძეგლის ნაცვლად აეშენებინათ დიდებული მემორიალური კომპლექსი იმ ბორცვზე, სადაც ჩვეულებრივ საზეიმო რიტუალებს აღნიშნავენ ხოლმე. ობელისკის მშენებლობის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი, ინსტიტუტის დოცენტი, რაზმის ხელმძღვანელი ჯემალ ზანგალაძე სოფლის მადლიერმა მცხოვრებლებმა საპატიო თანასოფლელად აირჩიეს. მას მხარში ედგნენ მეთაური გურამ ცინცქალაძე, ოსტატი ვანო თელიაშვილი, სტუდენტები ბესო ნიბლაძე, დავით აივაზაშვილი, ვიქტორ ლუაშვილი, ბერდო ალასანია, თემურ კენკაძე, ავთანდილ ტივაძე და რაზმის დანარჩენი წევრები. კომპლექსი ახალგაზრდების მიერ გამომუშავებული ფულით აიგო.

და აი, დადგა საზეიმო დღე. მეზობელი სოფლებიდან დილიდანვე მოდიოდა ხალხი, მოჰქონდათ ყვავილები, ზოგს — სანთლებიც. მაშასადამე, ირწმუნეს, ისე ირწმუნეს, როგორც მხოლოდ უცნობი ჯარისკაცის საფლავისა სწამთ.

მიტინგი საზეიმოდ გაიხსნა. მაგრამ იმ ზეიმზე მეტად სტუდენტებს წინა ღამის მღელვარება დაახსომდათ: მარმარილოს ფილების მოტანა გვიანდებოდა. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი იყო, თანაც ისე უნდა გაეკეთებინათ, რომ საუკუნეებისთვის, მარადისობისათვის გაეძლო. და აი, მაშინ აბრიალდა კოცონები, ჩართეს ყველა ავტომობილის ფარები. მაგრამ, ჩანს, ბუნებას სურდა ბოლომდე გამოეცადა ახალგაზრდების ვაჟკაცობა. აბობოქრებული სტიქია, სეტყვა, ქარი და წვიმა გარშემო ყველაფერს ქარბორბალასავით ატრიალებდა, მტკიცედ იდგა მხოლოდ რაზმი. ქარი მთელ ღამეს რეკავდა ობელისკის ზარებს და თითქოს შეტევისათვის მოუწოდებდა ახალგაზრდებს. და ისინიც წინ მიიწევდნენ დაღუპულთა, შინმოუსვლელთა, თავიანთ ნათესავ-ახლობელთა სასახელოდ. ყოველი მეორე სტუდენტის პაპა ხომ ომში დაიღუპა!

თავით ფეხამდე დასველებულებმა, ნასეტყვარებმა ვერც კი შენიშნეს, როგორ დაათენდათ. მემორიალი მზად იყო. დაქანცულები, ძმებივით ხელგადახვეულები, აღსრულებული მოვალეობის გრძნობით ამაღლებულნი იდგნენ ისინი... ასეთი რამ ადამიანს არასოდეს არ ავიწყდება. და როცა საზეიმო სალუტმა დაიქუხა, შეიძლება ითქვას, რომ იგი მათაც მიაგებდა პატივს, მათს შრომას, მათ გარჯას უწმინდესი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მიტინგი, რომელიც მემორიალის გახსნას მიეძღვნა, დღესასწაულად გადაიქცა. მან ათასზე მეტ კაცს მოუყარა თავი. მოვიდა ყველა, ვისთვისაც წმინდაა ომის ხსოვნა. ხსოვნა, რომელიც არა მარტო ხარკია გმირულად დაღუპულ გმირთა წინაშე, არამედ მოთხოვნილებაა ვეზიაროთ საკუთარი ხალხის ბედს, ცხოვრებას, დიად საქმეს. ეს ხსოვნაა, რომელიც ადგილს, სადაც დაიბადე, მამულად ხდის, ირგვლივ მყოფ ადამიანებს — თანამემამულეებად, ხოლო სახელმწიფოს, სადაც ცხოვრობ — სამშობლოდ.

ი. ლუკაშვილი.

სურათზე: ობელისკთან.

ავტორის ფოტო.

ავტომატური სატელეფონო სადგური

სოხუმში საექსპლოატაციოდ გადაეცა ათასარხიანი ახალი ავტომატური საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური, რომელიც აბონენტებს დააკავშირებს ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებთან — მოსკოვთან, თბილისთან, კრასნოდართან და სოჭთან.

მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე ავტონომიურ რესპუბლიკაში აშენდა ქალაქისა და სოფლის რამდენიმე ავტომატური სატელეფონო სადგური, რამაც შესაძლებელი გახადა სატელეფონო კავშირის დამყარება მის ყველა კუთხესთან. დღეს აფხაზეთში პრაქტიკულად არ არის სოფელი, სადაც არ იყოს ტელეფონი, ტელე და რადიოქსელი.

სურათზე: ახალი სადგურის ავტომატიკის დარბაზში.

ი. ჭოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბჭობენ მეცნიერები

მედიცინასა და ბიოლოგიაში მაგნიტური სითხეების გამოყენების პრობლემებს მიეძღვნა მეორე საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში გაიმართა სოხუმში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული „მაგნიტურ სითხეთა ფიზიკის" პრობლემის სამეცნიერო საბჭოს, აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამედიცინო კიბერნეტიკის სოხუმის განყოფილების ინიციატივით. ამ უკანასკნელში ინტენსიურად მიმდინარეობს უნიკალური ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე მაგნიტური სითხეების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სოხუმის სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილების ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. ახალაიამ.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. აქუბა.

კონფერენციაზე მოხსენებით წარდგნენ ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს ცნობილი მეცნიერები, რომლებმაც ილაპარაკეს მაგნიტურ სითხეთა ბიოლოგიურ აქტიურობაზე, ორგანიზმის რეაქციაზე მაგნიტურ სითხეთა შეყვანისა და მაგნიტური ველის გარეგან ზემოქმედებაზე, შუა საუკუნეების ქართულ მედიცინაში მაგნიტური ფხვნილის გამოყენებაზე, თვალის ინფიცირებული ჭრილობების სამკურნალოდ მაგნიტურ სითხეთა გამოყენებაზე და სხვა.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ბერლინში, კონფერენციაზე

„ენა, ადამიანი და საზოგადოება" — ეს პრობლემა განიხილა ბერლინში გამართულმა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა ბერლინის უნივერსიტეტის 175 წლისთავისა და მისი დამაარსებლის, დიდი გერმანელი ჰუმანისტის, ენათმეცნიერისა და ფილოსოფოსის ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სამეცნიერო მემკვიდრეობის ათვისების თანამედროვე ასპექტებს.

ორმოცდაათი ქვეყნიდან ჩამოსული ლინგვისტები, ლიტერატურათმცოდნეები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები მსჯელობდნენ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ენის როლი ინტელექტის, ეროვნული ცნობიერებისა და პიროვნების ჩამოყალიბებაში.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელიც — ევროპის ლინგვისტთა საზოგადოების წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე პროფესორი გ. რამიშვილი. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა თბილისის უნივერსიტეტის სახელზე გამოგზავნა წერილი, რომელშიც მადლობას უთვლიან პროფესორ გ. რამიშვილს მისი ღვაწლისათვის ჰუმბოლდტის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში, აღნიშნავენ, რომ ქართველ მეცნიერს იცნობენ როგორც თვალსაჩინო თეორეტიკოს-ენათმეცნიერსა და ჰუმბოლდტოლოგს, რადგან იგი ოც წელზე მეტია აქტიურად და ახლებურად ამუშავებს ჰუმბოლდტის ტექსტოლოგიის საკითხებს.

გ. რამიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბერლინის კონფერენციის ორგანიზაციასა და მსვლელობაში. შემთხვევითი არ არის, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურმა გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა" კონფერენციის შესახებ შემაჯამებელ სტატიაში აღნიშნა: „კონფერენციის თეორიული საფუძვლები ბერლინელმა მეცნიერებმა მოსკოველ და თბილისელ კოლეგებთან ერთად დაამუშავეს, რაც მთლიანად გაიზიარა კონგრესის ყველა საზღვარგარეთელმა მონაწილემ".

კონფერენციაზე პროფესორ გ. რამიშვილის მოხსენებამ — ენის შინაგანი ფორმის პრობლემა — მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი უძღვებოდა პლენარულ სხდომასა და პირველ მეთოდოლოგიურ სექციას: „ენა, როგორც ენერგია და გონითი აქტიურობა". ეს განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ გ. რამიშვილი ავტორია წიგნისა „ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები" (1978 წელი), რომელმაც დადებითი გამოხმაურება პოვა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე კანადაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. კონფერენციის გახსნის წინ გ. რამიშვილის ამ შრომას ვრცელი რეცენზია უძღვნა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის საენათმეცნიერო ჟურნალმა. უცხოელმა კოლეგებმა მნიშვნელოვან ფაქტად ცნეს ჰუმბოლდტის შრომათა კრებულის რუსულ ენაზე გამოცემა გ. რამიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (მოსკოვი, 1984 წ.).

ავეჯის სახლი

ბათუმი (საკ. კორ). ბათუმურმა ავეჯმა, კერძოდ ბათუმის ხის დასამუშავებელი კომბინატისა და ბამბუკის ფაბრიკის ნაწარმმა შორს გაითქვა სახელი. სამზარეულო გარნიტურმა „მიდიმ", „აჭარამ", ბამბუკისაგან დამზადებულმა „გონიომ" უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და მომხმარებელს დიდად მოსწონს. სწორედ ამან განაპირობა საგამოფენო სახლის გახსნა.

და აი, ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა „ავეჯის სახლი", რომლის კეთილმოწყობილ, ნათელ და ვრცელ დარბაზებში ავეჯის გარნიტურებია წარმოდგენილი. მყიდველს ნათელი წარმოდგენა ექნება კომპლექტის გაბარიტებზე. ერთი სექცია წვრილმანებს ეთმობა. აქ მომხმარებელს სუვენირებს გა-

ჭადრაკი

ჭადრაკის დაფებთან

საქართველოს საჭადრაკო პირველობის (უმაღლესი ლიგა) პირველ ტურში მწვავედ მიმდინარეობდა ჩემპიონობის პრეტენდენტთა — საერთაშორისო ოსტატ აზმაიფარაშვილისა (თეთრები) და დიდოსტატ გუფელდის შეხვედრა. საბოლოოდ გუფელდმა გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია და მოიგო. დიდოსტატმა ზაიჩიკმა მოუგო ჭაბუკ ქუთაისელ ოსტატობის კანდიდატს მანაგაძეს, საერთაშორისო ოსტატმა სტურუამ — ახალგაზრდა სოხუმელ ოსტატს იაილიანს. საკმაოდ ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ ჯანჯღავა-ბოკუჩავა და ჩიქოვანბაღათუროვი. გადაიდო გია გიორგაძის შეხვედრა ნორჩ ოსტატობის კანდიდატთან შალამბერიძესთან. კუთა ენდშპილში გიორგაძეს მოგების შესაძლებლობა აქვს.

ტურნირზე დაწესდება ოსტატის ნორმა.

ვილნიუსში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულისათვის დამატებითი ორწრიანი მატჩ-ტურნირი ჭადრაკში. ერთმანეთს ხვდებიან დიდოსტატები — ხარკოველი ა. ჩერნინი, ვილნიუსელი ვ. გავრიკოვი და ხარკოველი საერთაშორისო ოსტატი მ. გურევიჩი, რომლებმაც იანვარში რიგაში გამართულ საკავშირო 52-ე ჩემპიონატში 11-11 ქულით პირველი-მესამე ადგილები გაიყვეს. თუ მეტოქეები ამჯერადაც თანაბარ ქულებს მოაგროვებენ, ძალაში შევა ძირითადი ჩემპიონატის კოეფიციენტთა ცხრილის მაჩვენებლები და ჩემ-

ფეხბურთის ამბები

სატურნირო ორბიტა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

სალომე ალექსანდრეს ასული ყანჩელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.